# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 7 მარტი 2003 №39 (1810) | ფასი 50 თეთრი


# პირველი მსხვერპლი

## მსოფლიოს ჩემპიონატი ჩაიბუშა



## ტურნირიდან ემბლემაღა დარჩა

FIFA WORLD YOUTH CHAMPIONSHIP
EMIRATES 2003



ნეიტრალური შვეიცარიის შვილი იოზეფ ბლატერი ნემსის ყუნწში ხშირად გამძვრალა და მოსალოდნელი ერაყის ომიდან ფეხბურთიც გამოაძვრინა.

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი 25 მარტიდან 16 აპრილამდე უნდა გამართულიყო არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, მაგრამ გუშინ ციურიხში საგანგებოდ შეკრებილმა ფიფას აღმასკომმა ტურნირის გადადება გადაწყვიტა.

ერთი სიტყვით, ფიფამ ამ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების უსაფრთხოებაზე იზრუნა — საემიროები ერაყთან ახლოა და თუ სადამ ჰუსეინს დაარტყამენ, ვინძლო მთელს ახლო აღმოსავლეთში სისხლის მორევი დატრიალდეს.

„ფიფა ნანობს, რომ იძულებულია ჩემპიონატი გადადოს. ფიფა პასუხისმგებელია ფეხბურთელების, ოფიციალური პირების, ჟურნალისტების, გულშემატკივრების და სხვათა წინაშე“ — განაცხადა გუშინ ბლატერმა.

გადაწყვეტილების მიღებისას ფიფამ, რა თქმა უნდა, გაითვალისწინა, რომ ტურნირში სხვებთან ერთად უნდა ეთამაშათ ამერიკის შეერთებული შტატების, აგრეთვე მისი მოკავშირეების — ინგლისის, ესპანეთის და ავსტრალიის გუნდებს.

# საქართველო სლოვენიის ფარმ-კლუბია

## ნიკა ცქიტიშვილი: სხვისი არ ვიცი და, თუ გამომიძვეს, ნაკრებში გამოვიქცევი





ბადრი კეთილაძის ფოტო

# საზარდულმტკივანი ლევან ცაბაძის სიფრთხილეს თავი არ სტკივა

## ჩვენ გონებით მსოფლიოს თასზე ვართ, რუსები კი ქლიბით კბილებს ილესავენ

# დავით ყიფიანის თასი

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

# შტელინმა ტორპედო ააწყო, დაშალა და გადააწყო



ანდრი პოროშინის (შუაში) ამ თავურს ეს გოლი მოჰყვა





ალექსანდრ შტელინი

თბილისი. 6 მარტი. 15 საათი. დინამოს სკოლა. 250 მაყურებელი

## ჭაბუკთა ნაკრები 0:4 ტორპედო

0:1 გამეზარდაშვილი (10), 0:2 იონანიძე (62), 0:3, 0:4 პოროშინი (71, 78)

ჭაბუკთა ნაკრები: ბუბუტეიშვილი, ბერიძე, ყველაშვილი, ზ. კვახაძე, ბაიდოშვილი, გოგიშვილი, ჯიქია, კაპანაძე (ხიდაშელი 73), ჯაფარიძე, ი. ჭანტურია, გოგუა
სათადარიგონი: უხენაშვილი, კობალაძე
მწვრთნელი: მიხეილ ჯარმელაშვილი

ტორპედო: გ. ჭანტურია, მახვილაძე, ლ. ჭელიძე (ნერგაძე 74), ხვადაგიანი, კვეტენაძე (ლაღაძე 63), თოდუა, ბაბუნაშვილი, პოროშინი, გამეზარდაშვილი (ზ. ქუთათელაძე 60), ახალკაცი, იონანიძე
სათადარიგო: სტურუა; დარსაძე, ჭელიშვილი
მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი

გაფრთხილება: ხვადაგიანი (55), გამეზარდაშვილი (57), გ. ჭანტურია (81), პოროშინი (87)

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); მ. ურუშაძე (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ჯარიმა: 14-20; კუთხური: 2-3; კარისკენ დარტყმა: 2-4; კარში დარტყმა: 6-9; თამაშგარე: 2-4

კახა შალამბერიძე

**ზედიზედ** მესამე მატჩი მოიგო ღიდი ანგარიშით თასის გათამაშებაში ქუთაისის „ტორპედომ". რიონისპირელებმა მეთექვსმეტედფინალში მეზობელი წყალტუბოს „სამგურალი" იმსხვერპლეს (5:1 და 3:0), გუშინ კი ასევე პირველლიგელ ჭაბუკთა ნაკრებს აჯობეს 4:0.

გუშინ ალექსანდრ შტელინის შეგირდებს მეტის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ საუკეთესო მომენტები გააცუდეს.

მთელი მატჩი „ტორპედოს" უკრაინელი თავკაცის ტაქტიკური ვარიანტების გამოსაცდელ პერიოდად შეგვიძლია მოვნათლოთ. ალექსანდრ შტელინი ძალიან ხშირად უცვლიდა თავის ფეხბურთელებს პოზიციებს და სქემასაც შესაბამისად ცვლიდა.

„დავაიტე რებიატა, სიჩას უჟე ვტაროი ვარიანტ" — დაუცაცხანებდა შტელინი შეგირდებს და ისინიც წამსვე ცდილობდნენ მწვრთნელის დავალების შესრულებას. რამდენიმე წუთში უკრაინელი უკვე მესამე ვარიანტზე გადაწყობასაც ითხოვდა ტორპედოელთაგან.

პირველ ტაიმში ქუთათურებმა ერთადერთხელ გაუტანეს მეტოქეს. მე-10 წუთზე მეკარესთან პირისპირ შეჭრილ გამეზარდაშვილს პირველი დარტყმა არ გამოუვიდა, თუმც დამატებაზე მაინც ყველას დაასწრო და მარჯვენა დაბალ კუთხეში შეაგორა ბურთი.

გამეზარდაშვილს მერეც ბლომად საგოლე მომენტები ჰქონდა, მაგრამ სამიზნე ღალატობდა. 32-ე წუთზე კი მან ისეთი შანსი გაანიავა, რომ განრისხებული ალექსანდრ შტელინი კინაღამ მოედანზე შევარდა — იონანიძემ ზუსტი პასით კვლავ პირისპირ გაიყვანა გამეზარდაშვილი, რომელმაც მეკარე იოლად მოატყუა და ცარიელი კარის წინ ეულად დარჩენილმა რატომღაც პასი საჯარიმოს წინა ხაზთან მყოფ თანაგუნდელს გადააწოდა, რომელსაც მცველები წამოეწივნენ და ხიფათიც განიმუხტა.

მეორე ტაიმის საწყისი წუთები კი „ტორპედომ" მეტოქის დევნაში გაატარა. ჭაბუკთა ნაკრებმა ბურთზე კონტროლი დააწესა და ქუთათურთა საჯარიმოსაც მიაწვა. ამან რაიმე განსაკუთრებული ხიფათი ვერ შექმნა გრიგოლ ჭანტურიას კართან, მაგრამ ტორპედოელები გვარიანად კი აანერვიულა. სტუმრებმა უხეშობას უმატეს და ხვადაგიანგამეზარდაშვილს მსაჯმა ყვითლებიც აუფრიალა.

ალექსანდრ შტელინმა უმალ შეცვლები გააკეთა და თამაშიც „ტორპედოს" ხელში გადავიდა. ეს იყო და მასპინძელთა კართან საგოლე მომენტებმა ისევ იმატა.

ერთადერთი, რითაც ჭაბუკები ქუთათურებს დაემუქრნენ, ჯიქიას სახიფათო დარტყმა იყო, რომელიც ოდნავ ასცდა ჭანტურიას კარს.

მალე ზურაბ იონანიძემ გააცუდა ხელსაყრელი მომენტი, თუმც ქუთათურთა კაპიტანმა მაინც შეძლო გოლის გატანა. იონანიძე-თოდუა-იონანიძის ორსვლიანი კომბინაცია ლამაზი გოლით დასრულდა. რამდენიმე წუთში კი ანდრი პოროშინის ჯერი დადგა. უკრაინელმა ლეგიონერმა შვიდწუთიან მონაკვეთში ორჯერ შეარხია ბუბუტეიშვილის კარის ბადე. პოროშინს ჯერ მახვილაძემ გაუწია ასისტენტობა, მერე კი ბაბუნაშვილმა დაასვა ბურთი თავზე.

„ტორპედომ" ეშმაკობაც არ დაივიწყა. მატჩის ბოლო წუთებში იმერელთა ორი ფეხბურთელის გაფრთხილება უხეშობის შედეგი არ გეგონოთ. ჭანტურიამ და პოროშინმა მეტად ეშმაკურად დასცინცლეს მსაჯს ყვითელი ბარათი. მიზეზი? ისინი ჭაბუკთა ნაკრებთან საპასუხო მატჩში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებენ, მერე კი...



REUTERS

ოლიმპია — ბარსელონა. სლოვენიელთა ლატვიელმა რობერტს შტელმახერსმა ესპანელთა ლიტველ შარუნას იესკიევიჩიუსს ბურთი არ დაანება



## ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. II ტური. 6 მარტი

| E ჯგუფი | F ჯგუფი |
| --- | --- |
| სიენა 82:76 პანათინაიკოსი | მაკაბი 100:77 ტაუ |

G ჯგუფი

ოლიმპია 72:69 ბარსელონა

## გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი

დარმშტადტი 1:1 ოფენბახი

## შოტლანდია

თასის 1/8 ფინალი
გადათამაშება

ჰიბერნიანი 0:2 დანფერმლაინი

თბილისი. 6 მარტი. 15 საათი. სინათლე. 500 (ტევადობა 3 000)

## დინამო 2 0:1 სპარტაკი

0:1 ტატანაშვილი (27)

დინამო 2: თოთლაძე, კაშია, მუმლაძე, მეგრელიშვილი (მიქაძე 31), ექონია, მანჩხავა, შელია, კაპანაძე (გრიგორიევი 59), მანწკავა, იაშვილი, ხუჭუა (გაბისონია 65)
სათადარიგონი: ნაფეტვარიძე, კაჭარავა, კუნჭულია, ხონელიძე
მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

სპარტაკი: ჩომახიძე, რ. კუკულაძე, ცვანია, ჯანგიძე, წურწუმია, დ. სულაქველიძე, იმნაიშვილი (ჩიკვაიძე 86), ალადაშვილი (კოტრიკაძე 76), ხაჩიძე, ტ. კუკულაძე, ტატანაშვილი (კვერენჩხილაძე 85)
სათადარიგო: ჩხაიძე, მიქაბერიძე, დონდოლაძე, მგელაძე
მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

გაფრთხილება: მანწკავა (20), მუმლაძე (23), მუმლაძე (74), ტ. კუკულაძე (74)

გაძევება: მუმლაძე (74)

მსაჯები: ა. შილაკაძე; ა. ნონიკაშვილი, ო. ხეცაძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ჯარიმა: 18-22; კუთხური: 4-3; კარისკენ დარტყმა: 3-3; კარში დარტყმა: 2-5; თამაშგარე: 2-0

# პატარა სპარტაკმა პატარა დინამო რომ...

მამუკა კვანტალიანი



ავთანდილ ნარიაშვილი

**ნათლიისა** რა მოგახსენოთ, მაგრამ პირველლიგელი „სპარტაკი" ხელწამოსაკრავი გუნდი არ ყოფილა. გიგლა იმნაძის და ავთანდილ ნარიაშვილის დამოძღვრილმა ბიჭებმა გუშინ თანაჯგუფელი და თავმომწონე „დინამო 2" დაჩაგრეს.

„სპარტაკმა" 90 წუთის მარძილზე მეტოქეზე ორჯერ მეტი ირბინა, თავდაუზოგავად იბრძოლა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. რაც ყველაზე მთავარია, „სინათლის" სტუმრები უსიტყვოდ, მუხლჩაუხრელად შრომობდნენ. შეიძლება ისინი მთლად გამართულ ფეხბურთს ვერ თამაშობენ, ზოგჯერ საშემსრულებლო ოსტატობაც ღალატობთ, მაგრამ ნაკლს თავდადებით ანაზღაურებენ.

ნახევრით დახაზულ „სინათლეზე" უფრო ხარისხიანი მინდორი რომ ყოფილიყო, იქნებ „დინამოსაც" უკეთესი ფეხბურთი ეთამაშა, თუმცა კორღალიძის ბიჭების გუშინდელი სისუსტის მიზეზი მხოლოდ უხარისხო მოედანი რომ იყოს, საქმე თავში საცემად არ გახდებოდა. მომავლის „დინამოს" ზოგიერთ მოთამაშეს თავი ჩამოყალიბებული ფეხბურთელი ჰგონია, მსაჯთან გაუთავებელი კამათი, დაუსრულებელი ლაპარაკი და ხელების შლა უპირველესად გუნდის ქმედითუნარიანობას ვნებს. ასე კარგა ხანია, გრძელდება და ავჭალაში გუშინ სტუმარმა რომ იმარჯვა, ბევრსაც არ გაუკვირდება.

თამაშის ერთადერთი და გამარჯვების გოლი კი 27-ე წუთზე სპარტაკელმა ტატანაშვილმა გაიტანა. მან სწორად შეურჩია ადგილი დავით სულაქველიძის ფლანგურ გადაცემას, დაბნეულ მცველებს დაასწრო და ფეხის ერთი წაკვრით ბურთი თოთლაძისგან მარცხენა ახლო კუთხეში შეაგდო. სტუმრებს გასატანი კიდევ ჰქონდათ, მაგრამ სულაქველიძის დარტყმას დინამოელთა მეკარემ თავგანწირული ნახტომი შეაგება და თავისიანები გოლისგან იხსნა, ხოლო კვერენჩხილაძემ სახიფათო გარღვევა არაზუსტი დარტყმით დაასრულა.

ერთი მომენტი „დინამო 2"-მაც ვერ გამოიყენა. იაშვილის თავურის შემდეგ ბურთი ჩომახიძის კარის მარჯვენა ძელიდან ასხლტა და მერე მეკარემაც იმარჯვა. მასპინძლები მსაჯს მისცვივდნენ, გოლი იყოო, მაგრამ გამოცდილმა შილაკაძემ იქით შეუტია, უსარგებლო კამათს გირჩევნიათ, ბურთის გამართულად გორება ისწავლოთო.

# ვაჭრობა დაიწყო

## რუსებმა ოსებს რეხვიაშვილის სანაცვლოდ 400 ათასი$ მოსთხოვეს



*ალექსანდრე რეხვიაშვილი კვლავაც გაურკვევლობაშია. „ტორპედო-მეტალურგიდან" „სპარტაკ-ალანიაში" გაქცეული ქართველი ნახევარმცველი ორ კლუბს შორის მოლაპარაკებას ელის.*

**მოსკოველები** რომ თანახმანი არიან ვლადიკავკაზელებთან ურთიერთობაზე, ეს „ტორპედო-მეტალურგის" გენერალური მენეჯერის იური ბელოუსის გუშინდელი ნათქვამიდანაც ჩანს:

„რეხვიაშვილის საქციელით შოკირებული ვარ, მაგრამ მზად ვარ ვლადიკავკაზელებს მოვუსმინო. გავიგებ, რას გვთავაზობენ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა თანხას გადაგვიხდიან კონტრაქტის გამოსასყიდად" — თქვა ბელოუსმა. როგორც ჩანს, ამ კაცს რუსულ საფეხბურთო წრეში არცთუ კარგი რეპუტაცია აქვს.

ბელოუსის კრიტიკა ალეკო რეხვიაშვილმა გუშინ „სპორტ ექსპრესის" ჟურნალისტებისგანაც მოისმინა. რეხვიაშვილს სწორედ მაშინ შევეხმიანეთ, ჩვენი რუსი კოლეგები რომ გაისტუმრა.

— „ეს-ესაა „სპორტ ექსპრესს" მივეცი ინტერვიუ, მითხრეს, „კარგი ცხოვრებიდან ადვილად არ მიდიან" — ასეთ სათაურს დავარქმევთ სტატიას, შენი გვესმის და თანაგიგრძნობთო. სანამ ინტერვიუს ჩაწერას დაიწყებდა, ჟურნალისტმა ბელოუსზე ილაპარაკა, ამ კაცს სერიოზულად არავინ უყურებს, რეპუტაცია შელახული აქვსო. მიხარია, რომ ჩემი პრობლემებით რუსი ჟურნალისტებიც დაინტერესდნენ. მართალია, ერთი შეხედვით კონტრაქტი დავარღვიე, მაგრამ მტყუანი არ ვარ და არ მინდა, ჩემი სიმართლე დაიკარგოს".

ვლადიკავკაზელთა ბანაკშიც შევიხედოთ. რა თქმა უნდა, რევაზ ძოძუაშვილი ნაშეგირდალის გადაბირების მომხრეა. მიუხედავად იმისა, რომ ძოძუაშვილსა და რეხვიაშვილს შორის ამას წინათ შავმა კატამ გაირბინა. ის, რომ „მიხიჩამ" უპრობლემოდ მიიღო მოსკოველთა ბანაკიდან ლტოლვილი, პირველ რიგში იმითაც არის განპირობებული, რომ რეხვიაშვილს უპრობლემოდ შეუძლია „სპარტაკ-ალანიას" სათამაშო სტილში ჩაჯდომა. თუნდაც იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ვლადიკავკაზურ გუნდში რეხვიაშვილის ქართველ მეგობართა გარდა ყოფილი სკონტოელებიც თამაშობენ, ისინი, ვის მხარდამხარაც ალეკოს არაერთი სეზონი გაუტარებია. ჰოდა ძოძუაშვილი ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რომ რეხვიაშვილი ვლადიკავკაზში ჩაიყვანოს. მაგრამ ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული. მოკლედ, ფინანსურად არცთუ დალხინებულ ვლადიკავკაზელებს ჯიბეზე ხელის გაკვრა მოუწევთ.

***რევაზ ძოძუაშვილს*** გუშინ ანთალიაში დავუკავშირდით და ეს მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

— ალეკოსა და „ტორპედო-მეტალურგის" ხელმძღვანელებს შორის უთანხმოება მოხდა. ფეხბურთელი ჩემთან მოვიდა, დახმარება მთხოვა და უფლება არ მქონდა, გვერდში არ დავდგომოდი. მით უმეტეს, ჩემი სურვილიცაა, რომ რეხვიაშვილმა „სპარტაკ-ალანიაში" ითამაშოს.

**— კლუბის ხელმძღვანელთა პოზიცია როგორია?**

— ვიცე-პრეზიდენტ ბათრაზ ბითაროვს შევხვდი, ვითარება ავუხსენი და ისიც თანახმაა, რომ რეხვიაშვილი დავიმატოთ. პრობლემა მხოლოდ მოსკოველებთან მოლაპარაკებაა.

**— ესე იგი, გამორიცხული არაა რეხვიაშვილის „ტორპედო-მეტალურგში" დაბრუნება?**

— ამას არ გამოვრიცხავ. შესაძლოა, რუსებმა ფეხბურთელს შეუსრულონ კონტრაქტის პირობები და ალეკოს გული მოუბრუნდეს გუნდზე. „სპარტაკ-ალანიას" სახით სათადარიგო ვარიანტი მას ყოველთვის ექნება.

**— ტორპედოელებთან მოლაპარაკება რა სტადიაშია?**

— ვაჭრობა მიდის. ბელოუსმა კონკრეტული თანხა დაასახელა, რაც არარეალურია.

**— რა თანხაზეა საუბარი?**

— ჯერჯერობით ვერ გეტყვით, ორსამ დღეში ყველაფერი გადაწყდება და იმედი მაქვს, რომ ალეკო ჩვენ გუნდში ჩაირიცხება.

აი, ეს გვითხრა რევაზ ძოძუაშვილმა, რომელიც ხვალ თურქეთშივე მყოფ სვერდლოვსკის „ურალანთან" სხვებთან ერთად რეხვიაშვილსაც გამოსცდის.

მოკლედ, ყველაფერი ტორპედოელთა მადაზე ჰკიდია. აქ კი უკვე პრობლემები იქმნება. ბელოუსმა არარეალური თანხა მოითხოვა რეხვიაშვილის სანაცვლოდ. ამის შესახებ თავად ფეხბურთელმა გვითხრა გუშინდელი სატელეფონო საუბრისას: „გაოცებული ვარ, ბელოუსის ნათქვამმა შოკში ჩამაგდო. ეს კაცი ჩემს სანაცვლოდ 400 ათას დოლარს ითხოვს. ეს არასერიოზული საქციელია მისი მხრიდან. „ტორპედო-მეტალურგს" ჩემს სანაცვლოდ ერთი ცენტიც კი არა აქვს „სკონტოსთვის" გადახდილი. ამიტომ ბელოუსს უფლება არ ჰქონდა, იმაზე მეტი მოეთხოვა, რაც ჩემზე დახარჯა ორი თვის განმავლობაში. ტორპედოელებს ის უმნიშვნელო თანხაც დავუბრუნე, რაც ცოტა ხნის წინ მომცეს, „სპარტაკ-ალანია" იმასაც გადაიხდის, რაც მოსკოველებმა ჩემზე დახარჯეს თურქულ შეკრებაზე, მაგრამ 400 ათასი... ეს ხომ აბსურდია".

საკითხავია, რა მოხდება თუ ბელოუსმა 400 ათასს ფეხი არ მოუნაცვლა?

რეხვიაშვილს ამაზეც მზადა აქვს პასუხი:



რევაზ ძოძუაშვილი

„ამ ფაქტს ამოავითვე ჩემს წინააღმდეგ გამიზნულ მოქმედებად განვიხილავ, რუსები შეგნებულად იქცევიან ასე. მე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ვარ, მათი ქვეყნის ნაკრები კი ჩემი მოწინააღმდეგეა. სურთ ფსიქოლოგიურად გამტეხონ და ფეხბურთს ჩამომაშორონ. ამიტომ თუ ბელოუსი დათმობაზე არ წავიდა, ხმაურს ავტეხ, ფიფა-უეფას ჩარევაც რომ დამჭირდეს, უკან არ დავიხევ."

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, რეხვიაშვილიც და ძოძუაშვილიც იმედოვნებენ, რომ მოსკოველებთან შეთანხმდებიან.

**პაატა ძვანტალიანი**

# ყველა ქაღალდი მოსკოვშია, ასათიანიც

## მალხაზმა მარატს გაუგო



**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი მალხაზ ასათიანი უკვე ნაღდი რკინიგზელია. მოსკოვის „ლოკომოტივმა" სამიოდ დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან სატრანსფერო ფურცელი მიიღო და დღე-დღეზე ჩვენებურს, ალბათ, შეიყვანს საჩემპიონატო განაცხადში.

ამ საქმეს აქამდეც უნდა დასმოდა წერტილი და დიდი შანსიც იყო, მალხაზ ასათიანს „ლოკომოტივის" მაისური ოფიციალურ მატჩში პირველად 1 მარტს, რუსეთის თასის მერვედფინალში მახაჩყალის „ანჟისთან" მოერგო, თუმცა ასე არ მოხდა. საქმე ისაა, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირში ათიოდ დღის წინ სფფ-დან გაგზავნილი სატრანსფერო ფურცელი რკინიგზელებმა ვერ მიიღეს. ახლა კი ეს მცირე პრობლემა მოგვარებულია.

ამასობაში, მალხაზ ასათიანმა „ლოკომოტივთან" ერთად სოჭში ერთკვირიანი შეკრებაც გაიარა და გუშინ მოსკოვში დაბრუნდა. მოსკოვში დაბრუნება ორმაგად მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჩვენებურისთვის. ცხადია, ასათიანს რუსეთის დედაქალაქში ჩაფრენა ადრე თუ გვიან მოუწევდა, მაგრამ გუშინ სოჭიდან მოსკოვში რკინიგზელთა თავკაცმა იური სიომინმა მხოლოდ ძირითადი ბირთვის ფეხბურთელები წაიყვანა. ამათ შორის კი მალხაზ ასათიანიც აღმოჩნდა.

„ლოკომოტივის" სარეზერვო შემადგენლობა, რომლის რიგებშიც ქართველმა ნახევარმცველმა ამხანაგური მატჩიც ითამაშა „ჟემჩუჟინას" წინააღმდეგ, კვლავაც ზღვისპირეთში აგრძელებს მზადებას. სხვათა შორის, იური სიომინს მალხაზ ასათიანი სწორედ „ჟემჩუჟინასთან" მატჩში გამოურჩევია და ქების სიტყვებიც არ დაუშურებია ჩვენებურისთვის.

ახლა იმაზეც ვთქვათ, რატომ გაიყო „ლოკომოტივი" ორ ნაწილად. საქმე ისაა, რომ 8 მარტს, მოსკოვში რუსეთის სუპერთასისთვის რკინიგზელები და დედაქალაქელი არმიელები იბრძოლებენ. სწორედ საამატჩოდ ემზადებოდა „ლოკომოტივი" სოჭში.

ასე რომ, არ გაგიკვირდეთ, თუკი მალხაზ ასათიანს ამ მატჩის განაცხადში შეიყვანენ.

გუშინ მალხაზ ასათიანს მოსკოვში დავუკავშირდით:

— კლუბის პრეზიდენტს შევხვდი და მითხრა, ყველანაირი პრობლემა მოგვარებულიაო. მიხარია, რომ საბოლოოდ ყველაფერი გაირკვა. რაც შეეხება ცსკა-სთან თამაშს, ნაღდად არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა. ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. გუნდს უკვე ნორმალურად შევეწყვე. კარგი ბიჭები არიან, განსაკუთრებით მარატ იზმაილოვს გამოვარჩევდი... ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. ვეცდები გუნდში ადგილი დავიმკვიდრო — გვითხრა გუშინ ასათიანმა.

**ძახა შალამბერიძე**

# ვოლენმა ხომერიკი ჩაიწერა

**შვეიცარიული** B ჯგუფის ბინადარმა „ვოლენმა" ოფიციალურად შეიყვანა განაცხადში ქართველი თავდამსხმელი ლევან ხომერიკი. რამდენიმე დღის წინ „აარაუდან" „ვოლენში" გადასული ხომერიკი ახალ კლუბს პირველ ტურში „ბელინცონასთან" მატჩში ვერ დაეხმარა, თუმცა ვოლენელებმა უკვე ფორმალობები მოაგვარეს და ჩვენებურსაც შაბათს მორიგი ტურის მატჩში დაიხმარენ.

— საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა. შაბათს „ვინტერთურთან", ალბათ, ვითამაშებ კიდეც. ძალიან მიხარია, რომ ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ ოფიციალურ მატჩში მომიწევს თამაში. ვეცდები მწვრთნელები არ გავაწბილო და კლუბს დავეხმარო — გვითხრა გუშინ ლევან ხომერიკმა სატელეფონო საუბრისას.

**ძახა შალამბერიძე**




ახლახან გამოვიდა მწერალ მიხო მოსულიშვილის წიგნი „ბენდელა, რაინდი მინდორზე, რაინდი ბრძოლის ველზე...", რომელიც აფხაზეთის ომში დაღუპული ფეხბურთელის, ზაზა ბენდელიანის ცხოვრებაზე მოგვითხრობს.

ჩვენში ამგვარი წიგნების წერის ტრადიცია არ არის. ამგვარი დოკუმენტური პროზის ნიმუშებიც იშვიათია.

წიგნი მოგვითხრობს გამორჩეული ახალგაზრდა ფეხბურთელის ხანმოკლე ცხოვრებაზე და ეს არ არის მხოლოდ სპორტული მონათხრობი, რომელსაც ინტერესით გაეცნობოდა ფეხბურთის გულშემატკივარი. ამ წიგნში ხელისგულზეა გადაშლილი ქვეყნის და იმ სამყაროს ცხოვრებაც, ზაზა ბენდელიანი რომ ტრიალებდა.

აფხაზეთისთვის ბრძოლაში დაღუპული ბენდელა სახელმწიფოებრივ ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოვდა სიკვდილის შემდეგ. თბილისში ყოველწლიურად ტარდება მისი სახელობის მინი ფეხბურთის ტურნირი, მის სახელს სამახსოვრო დაფა ამშვენებს, თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა... თითქოს, ყველაფერი გაკეთებულია ალალი და ვაჟკაცი ბიჭის სახელის უკვდავსაყოფად, მაგრამ მიხო მოსულიშვილის წიგნი მაინც სხვაგვარი რამ არის ამ უკვდავყოფაში.

მწერალს იმგვარად შეუდგენია იგი, რომ გმირის ბიოგრაფია მოთხრობილია იმ ადამიანების პირით, ვინც კარგად იცნობდა ზაზას. მისი მეგობრები, ნათესავები, ახლობლები იხსენებენ ბენდელას, მსჯელობენ მის ხასიათზე, თანდათანობით კი ჭაბუკის პორტრეტი იკვეთება. ოჯახურ ისტორიებს საფეხბურთო თავგადასავალი მოსდევს, ომის დროის მძიმე სურათებს ხალისით სავსე ეპიზოდები. წიგნში ბევრი საოცრად თბილი ამბავია მოთხრობილი. ეს ამბები ჩაგვაფიქრებს არა მხოლოდ ზაზას, არამედ თითოეული ჩვენგანის ბედსა და ხასიათზე.

„ბენდელა" ოსტატურად დაწერილი წიგნია, თუმცა, იგი სცილდება საფეხბურთო ისტორიის ფარგლებს და მოგვითხრობს მთლიანად ცხოვრებაზე. ახალგაზრდა კაცზე, რომელმაც იცხოვრა ალალად, პატიოსნად და მოიქცა ისე, როგორც ნამდვილი ვაჟკაცები იქცევიან ხოლმე.



მანჩესტერი — ლიდსი. ლუკას რადებემ ფეხები მარჯვედ აიქნია და პოლ სქოულზსა და კვინტონ ფორჩუნს თვალები დააჭყეტინა

# მაინც მისდევს

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩები

**მიდლსბრო 1:0 ნიუკასლი**

1:0 ჯერემი (62)
მიდლსბრო: შვარცერი, პარნაბი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, კედრუ, გრინინგი, ბოატენგი, ჯერემი, ჟუნინიო პაულისტა, მაკარონე (დევიდ მერფი 80), რიკეტსი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ვუდგეიტი, ბრემბლი, ბერნარი, ჯენასი, დაიერი, სპიდი (ვიანა 76), რობერი (ამეობი 77), შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: ბერნარი, ბრემბლი, ვიანა
მსაჯი: დურსო
34 814 მაყურებელი

**მანჩესტერი 2:1 ლიდსი**

1:0 რადებე (20ს.კ.), 1:1 ვიდუკა (64), 2:1 სილვესტრი (79)
მანჩესტერი: ბარტეზი, ოში, რ. ფერდინანდი, როი კინი, სილვესტრი, ბექემი, ბატი, ვერონი (ფ. ნევილი 56), ფორჩუნი (გიგზი 64), სქოულზი, ვან ნისტელროი (გ. ნევილი 89)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ლიდსი: პ. რობინსონი, მილსი, ლუკიჩი, რადებე, ჰარტი, ბარმბი (მილნერი 85), ს. ჯონსონი, ოკონი, რაულ ბრავო (მაკფაილი 85), ვიდუკა, ა. სმიტი
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
გაფრთხილება: სქოულზი, სმიტი
მსაჯი: პოლი
67 135 მაყურებელი

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ 2:1 მოუგო „ლიდსს“ „ოლდ ტრეფორდზე“ და ხუთ ქულამდე შეამცირა სხვაობა ლიდერ „არსენალთან“.

იმავე საღამოს „ნიუკასლმა“ მიდლსბროში წააგო 0:1 და სამი ქულით ჩამორჩა „მანჩესტერს“.

„დღეს დიდებული თამაში იყო. ჩვენ გამარჯვება შევძელით. ახლა ვეცდებით, რომ სულ ბოლომდე შევინარჩუნოთ სეზონის ინტრიგა“, თქვა სერ ალექს ფერგიუსონმა.

„ჩემპიონობას ვერ მოვახერხებთ“, ასეთი იყო ალან შირერის სიტყვები „ბოროსთან“ წაგების შემდეგ.

„ოლდ ტრეფორდზე“ კი მართლაც მაგარი თამაში გამოვიდა. „ლიდსმა“ ნამდვილი ბრძოლა გაუმართა მასპინძლებს, რომლებიც პირველ ტაიმშივე დაწინაურდნენ, მას შემდეგ, რაც ბექემის ჩაწოდებულს ნიკი ბათმა თავი მიაწვდინა და კარსწინა ზედახორიდან ლუკას რადებეს ავტოგოლი შედგა.

„ლიდსმა“ მეორე ტაიმში გაათანაბრა. იან ჰარტის ბრწყინვალედ ჩაწოდებულ ჯარიმას მარკ ვიდუკას თავი დაუხვდა და ბურთი ძელიდან შევარდა კარში. ანგარიში თანაბარი თხუთმეტ წუთს იყო: მერე კვლავ ბექემის ჩაწოდებულს მიკაელ სილვესტრის თავური, მისი სეზონში პირველი, ამ თამაშში კი გამარჯვების გოლი მოჰყვა.

იორკშირელთა მენეჯერმა ტერი ვენეიბლზმა თქვა, რომ გაუჭირდება „მანჩესტერის“ ჩემპიონად წარმოდგენა.

არანაკლები ფასისა იყო ჩრდილო-აღმოსავლური დერბი „ბოროსა“ და „ნიუკასლს“ შორის, რადგან ამ თამაშამდე „ნიუკასლი“ და „მანჩესტერი“ ტოლად მიდიოდნენ 2-3-ე ადგილებზე.

საქმეც ეს იყო, რომ ალან შირერმა და კრეიგ ბელამიმ ვერაფრით უპოვეს ბზარი მასპინძელთა დაცვას, კამერუნელ ჯერემის ზუსტი დარტყმით კი თამაშიც წააგეს, პირველად ცხრა ტურის თავზე. ჯერემის თავური გამოუვიდა ფრანკ კედრუს კროსზე.

ბოროელთა მენეჯერმა სტივ მაკლარენმა თქვა, რომ მისი გუნდი ამ გოლს იმსახურებდა, სერ ბობი რობსონმა კი მაკლარენის გუნდის დაცვა შეაქო, უგო ეჰიოგუმ და გარეთ საუთგეიტმა არ ამოგვასუნთქესო. „აღარც მახსოვს ისეთი თამაში, გოლი რომ არ გაგვეტანოს“, — თქვა რობსონმა.

„ნიუკასლის“ ფეხბურთელები უკმაყოფილონი დარჩნენ დურსოს ნამსაჯით და თამაშის შემდეგ შეაწუხეს კიდეც იგი, თუმცა, ამით რაღა შეიცვლებოდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 29 | 19 | 6 | 4 | 64:30 | 63 |
| მანჩესტერი | 29 | 17 | 7 | 5 | 47:27 | 58 |
| ნიუკასლი | 29 | 17 | 4 | 8 | 47:34 | 55 |
| ევერტონი | 29 | 14 | 7 | 8 | 38:34 | 49 |
| ჩელსი | 29 | 13 | 9 | 7 | 50:31 | 48 |
| ჩარლტონი | 29 | 13 | 6 | 10 | 39:36 | 45 |
| ლივერპული | 28 | 11 | 10 | 7 | 39:28 | 43 |
| ბლექბერნი | 29 | 11 | 10 | 8 | 35:32 | 43 |
| ტოტენჰემი | 29 | 12 | 7 | 10 | 41:40 | 43 |
| საუთჰემპტონი | 29 | 11 | 9 | 9 | 30:28 | 42 |
| მიდლსბრო | 29 | 10 | 8 | 11 | 35:32 | 38 |
| სიტი | 29 | 11 | 5 | 13 | 39:44 | 38 |
| ფულემი | 29 | 10 | 7 | 12 | 33:35 | 37 |
| ასტონ ვილა | 29 | 10 | 5 | 14 | 31:34 | 35 |
| ლიდსი | 29 | 10 | 4 | 15 | 35:39 | 34 |
| ბირმინგემი | 29 | 8 | 8 | 13 | 27:40 | 32 |
| ბოლტონი | 28 | 5 | 11 | 12 | 30:45 | 26 |
| ვესტ ჰემი | 29 | 6 | 8 | 15 | 32:53 | 26 |
| ვესტ ბრომვიჩი | 29 | 5 | 6 | 18 | 21:44 | 21 |
| სანდერლენდი | 29 | 4 | 7 | 18 | 19:46 | 19 |

### I დივიზიონი. XXXV ტური

**დერბი ქაუნთი 0:1 კრ. პალასი**

0:1 ბლეიქი (61)
დერბი ქაუნთი: გრანტი, ჯექსონი, ელიოტი, მილსი, ბოერტიენი (მაკლეოდი 82), ბოლდერი, ლი, ბარლი, მიურეი (ზავანო 46), ჩედვიკი (ტუდგეი 66), რავანელი
*გიორგი ქინქლაძე ტრავმირებულია*
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
22 682 მაყურებელი

**ნორვიჩი 0:1 რედინგი**

0:1 კენტონი (74ს.კ.)

**შეფილდ უენსდი 5:1 ქოვენთრი**

1:0 რედი (8), 2:0 კუქი (52), 2:1 იოაკიმი (54), 3:1 მაკლარენი (60), 4:1 ბრედბერი (63), 5:1 კუქი (69)

**სტოკი 1:0 ბრაიტონი**

1:0 გრინეკრი (83)

**ვულვერჰემპტონი 1:1 იფსვიჩი**

1:0 ინსი (48), 1:1 ნეილორი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 35 | 21 | 10 | 4 | 73:34 | 73 |
| ლესტერი | 35 | 20 | 10 | 5 | 57:31 | 70 |
| რედინგი | 35 | 19 | 4 | 12 | 45:33 | 61 |
| ნოტინგემი | 34 | 16 | 10 | 8 | 60:34 | 58 |
| შეფილდი | 33 | 17 | 7 | 9 | 51:36 | 58 |
| ვულვზი | 35 | 15 | 11 | 9 | 61:37 | 56 |
| ნორვიჩი | 34 | 13 | 10 | 11 | 44:34 | 49 |
| იფსვიჩი | 34 | 13 | 10 | 11 | 54:45 | 49 |
| როტერჰემი | 35 | 13 | 9 | 13 | 52:48 | 48 |
| ჯილინგემი | 34 | 13 | 9 | 12 | 45:46 | 48 |
| ბარნლი | 33 | 13 | 9 | 11 | 48:56 | 48 |
| უოტფორდი | 35 | 13 | 8 | 14 | 38:51 | 47 |
| კრ. პალასი | 33 | 11 | 13 | 9 | 44:37 | 46 |
| ქოვენთრი | 35 | 12 | 10 | 13 | 39:42 | 46 |
| უიმბლდონი | 33 | 12 | 9 | 12 | 54:55 | 45 |
| პრესტონი | 34 | 11 | 11 | 12 | 49:52 | 44 |
| მილუოლი | 35 | 12 | 8 | 15 | 40:54 | 44 |
| დერბი | 35 | 12 | 7 | 16 | 43:51 | 43 |
| უოლსოლი | 35 | 11 | 7 | 17 | 46:52 | 40 |
| ბრედფორდი | 34 | 10 | 9 | 15 | 40:54 | 39 |
| სტოკი | 35 | 7 | 10 | 18 | 36:63 | 31 |
| ბრაიტონი | 35 | 7 | 8 | 20 | 34:55 | 29 |
| უენსდი | 35 | 6 | 11 | 18 | 36:58 | 29 |
| გრიმსბი | 35 | 7 | 8 | 20 | 39:70 | 29 |



მიდლსბრო — ნიუკასლი. მასპინძელთა კამერუნელმა ჯერემიმ ლორან რობერი ჰაერში აიწია

## უეფას თასი 2002-2003
### მერვედფინალი. საპასუხო მატჩი

**ვისლა** (პოლონეთი) 1:2 ***ლაციო*** *(იტალია)* (3:3)

1:0 კუჟბა (3), 1:1 კოუტუ (20), 1:2 კიეზა (55)
ვისლა: პუგესი, სტოლარჩიკი, ბაშჩინსკი, კ. კოსოვსკი, გლოვაცკი, ჟურავსკი (პატერი 79), უზე, სტრაკი (სიმკოვიაკი 64), ჟოპი, კანტორო, კუჟბა (დუბიცკი 72)
მწვრთნელი: ჰენრი კასპერჩაკი
ლაციო: მარკეჯანი, სტამი, ნეგრო, ფ. კოუტუ, ფავალი, ფიორე, სიმეონე, დ. სტანკოვიჩი (ლივერანი 90), სეზარი (ლაზეტიჩი 64), კ. ლოპესი, კიეზა (ჯანიკედა 77)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ნეგრო, კოუტუ, სტამი, ფავალი, სტანკოვიჩი, ჟოპი
მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)
10 000 მაყურებელი

*მეოთხედფინალში „ლაციო“ შეხვდება თურქულ „ბეშიქთაშს“*

# გადადებული კიეზასია

**წინა** ხუთშაბათიდან მოყოლებული, პოლონური გაზეთები „ლაციოს“ მატჩის ჩაშლაში ადანაშაულებდნენ, რომაელებს შეეშინდათ და მინდვრის საფარის უვარგისობა მოიმიზეზესო. თუმც მასპინძელთა მწვრთნელს ჰენრი კასპერჩაკს იტალიელებზე აუგი არ დასცდენია და „ვისლას“ ქომაგებს სტუმართა ფანების ღირსეული დახვედრისკენ მოუწოდებდა.

რობერტო მანჩინის გუნდს ანჯელო პერუცი, სინიშა მიხაილოვიჩი და დინო ბაჯო ტრავმების გამო დააკლდნენ, კრაკოველებს კი ყველა მწყობრში ჰყავდათ. სტუმართა თავკაცმა კარში ლუკა მარკეჯანი დააყენა, მიხაილოვიჩ-ბაჯოს პანკარო-სტანკოვიჩი ჩაუნაცვლა და მატჩი ასე დაიწყო. მანჩინიმ შეხვედრამდე თქვა, მხოლოდ მოსაგებად გავალთ, მომავალ კვირა დღეს „რომასთან“ საბრძოლველად ძალების დაზოგვაზე სულაც არ ვფიქრობო.

„ვისლა“ ისე ეკვეთა მეტოქეს, როგორც შინ სჩვევია. სტუმრები ცოტა დაბნეულებიც კი ჩანდნენ და მათ დაცვას გვარიანი ჯაფა დაადგა. მიუხედავად ამისა, დამხვდურებმა სწრაფად მოახერხეს გოლის გატანა. უჩეს უზადო პასით კუჟბამ იხეირა. მასპინძლები თამაშს ნიგერიელ ლეგიონერზე, კალუ უჩეზე აწყობდნენ და მასაც ყველაფერი გამოსდიოდა. მეთხუთმეტე წუთზე ნიგერიელს სხვაობის ორამდე გაზრდა შეეძლო, მაგრამ მის დარტყმულს კარის ხაზზე პაოლო ნეგრო დაუხვდა. მანამდე ნეგრომ და კოუტუმ სტიუარტ დუგალის ყვითელი ბარათები დასტყუეს.

რომაელები გონს მალე მოეგნენ და საპასუხო გოლიც გამოჩარხეს. პირველ მატჩში უხეიროდ მოთამაშე ფერნანდო კოუტუმ ენრიკო კიეზას ჩაწოდებულ კუთხურს მძლავრად უთავაზა და ანგარიში გაათანაბრა. „ვისლას“ შეტევების ჩახშობას ლაციოელები ყველა ხერხით ცდილობდნენ. პირველ ტაიმში მსაჯმა ორჯერ კიდევ დააძრო ყვითელი ბარათი, ერთი იაპ სტამისთვის, მეორე კი ჯუზეპე ფავალისთვის.

მეორე ნახევრის დასაწყისში გაყვითლებულებს დეიან სტანკოვიჩიც შეუერთდა. 50-ე წუთზე „ლაციო“ გოლისგან უჩემ იხსნა. კოსოვსკის დარტყმული ნიგერიელს ფეხზე რომ არ შეხებოდა, კარში შევარდებოდა, მაგრამ ბურთი ოდენ ძელს მოხვდა. აქ უკვე ამოქმედდა მრავალჯერ გადალეჭილი პრინციპი — „ვერ გაიტან, გაგიტანენ“. ენრიკო კიეზამ საჯარიმოს გარედან ბრწყინვალე დარტყმით „ვისლას“ მეორე გაუტანა, მერე კი „ლაციომ“ წმინდა იტალიური ფეხბურთი შეუბერა და მასპინძლებმა რომაელები ველარ გატეხეს.

რობერტო მანჩინი, ცხადია, გახარებული იყო: „ვისლამ“ პირველ ტაიმში ისეთი რიხით დაიწყო, ვიფიქრე, რომ ძალიან გაგვიჭირდებოდა, მაგრამ შესვენების შემდეგ ჩემმა ბიჭებმა კლასი აჩვენეს და სწორედ ამის წყალობით გავიმარჯვეთ“.

**გაგა ხუციშვილი**



რომაელი სტეფანო ფიორე (მარცხნივ) მასპინძელთა მეკარე ანჯი ჰუგესს კი გასცდა, მაგრამ ვერ გაუტანა

უეფას თასის ფინალი 21 მაისს სევილიის „ესტადიო ოლიმპიკოზე“ გაიმართება. მატჩზე დასასწრები ბილეთები 10 მარტიდან გაიყიდება. ამასთან დაკავშირებით უეფამ განაცხადა, რომ კაცზე მაქსიმუმ ექვს ბილეთზე მეტი არ გაიცემა. „ესტადიო ოლიმპიკო“ 52 142 ქომაგს უმასპინძლებს. აქედან 31 368 ადგილი ხელუხლებელია იმ გუნდების გულშემატკივრებისთვის, რომლებიც ფინალში გავლენ. 5 489 ადგილი გამოუყვეს ფეხბურთზე მწერლებს და წესრიგის დამცველებს, 6 846 ბილეთი თვითონ უეფას ჩინოვნიკებმა, მატჩის ორგანიზატორებმა, კომერციულმა პარტნიორებმა და ტელეკომპანიებმა მიისაკუთრეს.

ბილეთის ფასი 30-დან 80 ევრომდეა. პირველი კატეგორიისა 80 ევრო ღირს, მეორე — 60, მესამე — 40, მეოთხე კი — 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ზურმუხტი ზურაბია



ზურაბ ხიზანიშვილი (ბურთით) საუკეთესოდ გაისარჯა

„დანდის“ ფორვარდები ნაჩო ნოვო, სტივ ლოველი და ფაბიან კაბალიერო ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ „ლივინგსტონის“ დაცვასა და მეკარეს, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ.

გიორგი ნემსაძე ერთ ეპიზოდში ისე დიდებულად გაისარჯა, რომ ლოველი მეკარეს შეატოვა პირისპირ, თუმც არც ამან გასჭრა.

მატჩის ბოლო საგოლე შანსი „დანდის“ მეორე ქართველს ჰქონდა — ზურაბ ხიზანიშვილმა გარი ბრეიდის ჩაწოდებულ საჯარიმოს შეუშვირა თავი და მცირედით აცდინა „ლივინგსტონის“ კარს — ზურაბს კარგად რომ დაემიზნებინა, პირველ დანდიურ გოლს გამორჩებოდა.

დანდელებმა კი ქართველ მცველს შრომა იმად დაუფასეს, რომ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

**დავით თავართქილაძე**

## შოტლანდია

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

**დანდი 0:0 ლივინგსტონი**

**დანდი:** სპერონი, მაკეი, უილკი, ხიზანიშვილი, მაირი, სმიტი, ნემსაძე (ბრედი 64), რაე, ნოვო (ბერჩილი 66), კაბალიერო, ლოველი (მილნი 86)

**მწვრთნელი:** ჯიმ დაფი

7 554 მაყურებელი

ეს მატჩი უამინდობის გამო გახლდათ გადატანილი — მაშინ, თებერვლის თოვლბარდნიან ამინდში თამაშის მას შემდეგ შეწყდა, როცა „დანდი“ 1:0-ს იგებდა.

ახლა კი დანდელები უგოლო ფრეს დასჯერდნენ. ამ შედეგით ჯიმ დაფის გუნდმა წაუგებელი მატჩების სერია შვიდამდე გაწელა, მაგრამ ოდენ ქულა დანდელებისთვის მაინც გაწბილებაა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 29 | 25 | 3 | 1 | 78:21 | 78 |
| სელტიკი | 28 | 23 | 3 | 2 | 72:19 | 72 |
| ჰართსი | 29 | 14 | 7 | 8 | 49:43 | 49 |
| კილმარნოკი | 29 | 13 | 6 | 10 | 34:39 | 45 |
| დანფერმლაინი | 29 | 12 | 3 | 14 | 44:54 | 39 |
| დანდი | 29 | 9 | 9 | 11 | 36:41 | 36 |
| ჰიბერნიანი | 29 | 10 | 4 | 15 | 40:49 | 34 |
| ლივინგსტონი | 29 | 7 | 6 | 16 | 36:45 | 27 |
| პარტიკ თისლი | 29 | 6 | 9 | 14 | 28:46 | 27 |
| აბერდინი | 29 | 6 | 9 | 14 | 25:44 | 27 |
| მოზერუელი | 28 | 6 | 6 | 16 | 34:48 | 24 |
| დანდი იუნ. | 29 | 5 | 9 | 15 | 26:53 | 24 |

# რა ერჩივნა ლაუტერნს?

## ლევერკუზენი კერპმა არ დაინდო და ელბერი რას უზამდა

## გერმანია

### თასის 1/2 ფინალი

***ბაიერნი* 3:1 ლევერკუზენი**

1:0 ბალაკი (30), 1:1 რამელო (52), 2:1, 3:1 ელბერი (57, 58)

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, რ. კოვაჩი, თ. ლინკე, ლიზარაზუ, შოლი (დაისლერი 79), იერემისი, ბალაკი (ნ. კოვაჩი 69), ზე რობერტო, ელბერი (სანტა კრუზი 76), კ. პიზარო

**მწვრთნელი:** ოტმარ ჰიცფელდი

**ლევერკუზენი:** ჰ. ბუტი, ბალიტჩი, ჟივკოვიჩი, ჟუანი (კრისი 73), პლასენტე, რამელო, ბაბიჩი (შიმაკი 56), ბ. შნაიდერი (ოჯიგვე 76), ბიროფკა, ნოივილი, ფრანცა

**მწვრთნელი:** თომას ჰიორსტერი

**გაფრთხილება:** ჟივკოვიჩი

**მსაჯი:** შტაინბორნი

16 000 მაყურებელი

*ფინალში 31 მაისს ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“ „კაიზერსლაუტერნი“ და „ბაიერნი“ შეხვდებიან*

ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის მერე „ბაიერნი“ თავის ქომაგს საყვედურის საბაბს აღარ აძლევს. მიუნხენელები დუბლს უმიზნებენ და რა უნდა მოხდეს, რომ ვერ შეასრულონ. ბუნდესლიგაში მისი დამწევი არავინ ჩანს და ოთხშაბათს „ბაიერნი“ გერმანიის თასის ფინალშიც გავიდა. იქ მისი მეტოქე ჯერჯერობით ბოლოადგილოსანი „კაიზერსლაუტერნი“ იქნება, რომლის დამარცხებაც მიუნხენელებს ალბათ არ უნდა გაუჭირდეთ.

ფინალი კი 31 მაისსაა ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“.

„კაიზერლსაუტერნის“ ამბავი კი ასეა: ერთი მხრივ, მეტოქედ „ლევერკუზენი“ ერჩივნა, მისებრ დაბეჩავებული გუნდი, რომელთანაც თასის მოგების მეტი შანსი ექნებოდა. მაგრამ მეორე მხრივ, ფინალში „ბაიერნის“ გასვლა „ლაუტერნს“ გაისად უეფას თასზე თამაშის გარანტიას აძლევს, რადგან „ბაიერნის“ ოთხეულში ვერმოხვედრა სრულიად წარმოუდგენელი ამბავია, ანუ მიუნხენური კლუბი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და თასის ფინალი რომც მოიგოს, უეფას თასზე თამაშის უფლებას მეტოქეს დაუთმობს.

„ბაიერნმა“ „ლევერკუზენი“ ჯოვანი ელბერის მიერ ორ წუთში გატანილი ორი გოლით დაამარცხა. თუმც ანგარიში ძველმა ლევერკუზენელმა, იქაურთა კერპმა და სიმბოლომ, მიხაელ ბალაკმა გახსნა. შესვენების მერე კარსტენ რამელომ და ბრაზილიელმა ფრანცამ ბურთი ერთმანეთში გაითამაშეს და ბუნდესნაკრების წევრმა ოლივერ კანს საპასუხო გაუტანა. ამის მერე კი ელბერმა ორჯერ იხეირა.

მიუნხენელმა ქომაგებმა დიდად არ შეიწუხეს თავი სტადიონზე მისვლით და „ბაიერნის“ ფინალში გასვლას ოდენ 16 ათასი კაცი მიესალმა.

**ირაკლი ნინიძე**



ბაიერნი — ლევერკუზენი. ლევერკუზენელმა ფრანცამ თომას ლინკეს ფეხი სახიფათოდ აუწია

REUTERS

### მეორე ბუნდესლიგა
### გადადებული მატჩები

**ალემანია 0:0 ფიურტი**

**დუისბურგი 2:2 კიოლნი**

1:0 ებერსი (9), 2:0 8. ცაიერი (34პ), 2:1 კრინგე (42), 2:2 ლოტნერი (66პ)

**ბრაუნშვაიგი 2:1 ობერჰაუზენი**

0:1 ბელიაკოვი (20), 1:1 ტეიშეირა (50), 2:1 ადლერი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 23 | 13 | 10 | 0 | 49:27 | 49 |
| მაინცი | 23 | 13 | 4 | 6 | 39:22 | 43 |
| აინტრახტი | 23 | 12 | 7 | 4 | 36:20 | 43 |
| ფრაიბურგი | 23 | 12 | 6 | 5 | 35:20 | 42 |
| ტრირი | 23 | 11 | 6 | 6 | 41:29 | 39 |
| ალემანია | 23 | 10 | 8 | 5 | 40:30 | 38 |
| ფიურტი | 23 | 8 | 9 | 6 | 29:25 | 33 |
| დუისბურგი | 23 | 8 | 8 | 7 | 33:32 | 32 |
| ბურგჰაუზენი | 23 | 7 | 9 | 7 | 38:32 | 30 |
| ობერჰაუზენი | 23 | 8 | 6 | 9 | 26:27 | 30 |
| ლიუბეკი | 23 | 8 | 3 | 12 | 34:36 | 27 |
| როიტლინგენი | 22 | 7 | 5 | 10 | 28:33 | 26 |
| უნიონი | 22 | 5 | 10 | 7 | 27:40 | 25 |
| ალენი | 23 | 6 | 4 | 13 | 30:42 | 22 |
| კარლსრუე | 23 | 4 | 9 | 10 | 21:35 | 21 |
| ვალდჰოფი | 23 | 5 | 6 | 12 | 26:45 | 21 |
| ზტ. პაული | 23 | 4 | 6 | 13 | 32:49 | 18 |
| ბრაუნშვაიგი | 23 | 4 | 6 | 13 | 23:43 | 18 |



ოსასუნა — უელვა. ფრანსისკო ხისკოს (მარჯვნივ) გოლმა პამპლონელი ივან როსადო და მისი თანაგუნდელები წელში გაწყვიტა

REUTERS

# მესამე და სამართალი?

## უელვას ფორა რად უნდა

## ესპანეთი

### თასის 1/2 ფინალი
### საპასუხო მატჩები

**ოსასუნა 2:2 უელვა (0:2)**

1:0 ალოიზი (22), 2:0 მოა (43), 2:1 ხისკო (47), 2:2 ბენიტესი (50)

**ოსასუნა:** უნსუე, ხოსეჩო (ბრიტი 60), კრუჩაგა, მატეო, ანტონიო ლოპესი, პალასიოსი (მუნიოსი 78), პუნიალი (მორალესი 60), რივერო, ივან როსადო, მოა, ალოიზი

**მწვრთნელი:** ხავიერ აგირე

**უელვა:** ლუკე, მერინო, იკერ ბეგონია, ლორენი, პერნია, კამაჩო, ხავი გარსია, ვიკეირა (ესპინოლა 78), ბერმეხო, ბენიტესი (რაულ მოლინა 90), ხისკო (არპონი 83)

**მწვრთნელი:** ლუკას ალკარასი

**გაფრთხილება:** მოა, რივერო, მუნიოსი

**მსაჯი:** კარმონა მენდესი

17 000 მაყურებელი

***მალიორკა* 1:1 დეპორტივო (3:2)**

0:1 ფრანი (20), 1:1 იბაგასა (83)

**მალიორკა:** ლეო ფრანკო, კორტესი, ლუსენჰოფი, პოლი, მიგელ სოლერი, ნოვო (კარლოსი 90), აროლდ ლოზანო, იბაგასა (მარკოსი 85), რიერა, ეტოო, პანდიანი

**მწვრთნელი:** გრეგორიო მანსანო

**დეპორტივო:** ხუანმი, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, ნაიბეტი, რომერო, სკალონი, სერხიო (ვალერონი 56), მაურო სილვა, ფრანი (აკუნია 60), ტრისტანი (მაკაი 46), ლუკე

**გაფრთხილება:** მანუელ პაბლო, ეტოო, ლეო ფრანკო

**მსაჯი:** მეხუტო გონსალესი

20 000 მაყურებელი

*ფინალში 28 ივნისს სევილიის „ოლიმპიურზე“ „უელვა“ და „მალიორკა“ შეხვდებიან*

ნახევარფინალის ორივე საპასუხო მატჩი ფრედ დასრულდა, რაც „მალიორკასა“ და „უელვას“ აძლევდა ხელს — ისინი სამეფო თასის ფინალში გავიდნენ. ფინალი 28 ივნისს გაიმართება, პრიმერადივიზიონის დასრულებიდან ერთი კვირის თავზე.

„მალიორკამ“ თასის ახლანდელი მფლობელი „დეპორტივო“ ჩამოიცილა გზიდან, თუმც იოლად ვერ დაჯაბნა. ლაკორუნიელები 21-ე წუთზე დაწინაურდნენ ფრანის გოლით. მასპინძელთა მცველებმა ვერაფრით მოახერხეს ძველი თანამოძმის, ალბერტ ლუკეს შეჩერება, რომელმაც განივი პასი გაუჭრა შორეულ ძელთან ჩასაფრებულ ფრანს და ამასაც არ გაეტანა, სირცხვილი იქნებოდა. საერთოდაც, თამაში სტუმართა თვალსაჩინო უპირატესობით დაიწყო, რასაც დამხვდურთა მრავალრიცხოვანი შეცდომებიც ხელს უწყობდა.

მაგრამ, პირველი მატჩის შედეგიდან გამომდინარე, „დეპორტივოს“ 1:0 არ აწყობდა და კიდევ ერთი გოლის გასატანად დაიგეშა, დროც საკმარისი რჩებოდა. პირველ ტაიმში რომ მეტს ველარაფერს გამორჩა, შესვენების მერე ხავიერ ირურეტამ დიეგო ტრისტანი პრიმერადივიზიონის მთავარმეგოლით, როი მაკაით შეცვალა, შემდეგ კი ხუან კარლოს ვალერონიც შეუშვა. მაგრამ არაფერმა გაჭრა.

ნელ-ნელა „მალიორკაც“ გონს მოეგო და იერიშებს უხშირა. თამაში რაც უფრო უახლოვდებოდა დასასრულს, კუნძულელთა იერიშებიც მეტ სიმწვავეს იძენდა, რაც სრულად ლოგიკური ამბავია: გალისიელები ხომ იძულებულები იყვნენ, მეტი ძალებით შეეტიათ მასპინძლებისთვის და შესაბამისად ზურგის მოშიშვლება უხდებოდათ. მალიორკელთაგან გამორჩეულად არგენტინელი გარემარბი არიელ იბაგასა და კამერუნელი ფორვარდი სამუელ ეტოო აქტიურობდნენ და საპასუხო გოლიც მათ გაახერხეს. თამაშის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე სტუმართა კართან ჩაწოდებულ კუთხურს ეტოომ თავი დაუხვედრა, ბურთი იბაგასას მიუვიდა და არგენტინელმაც გაქვითა. ამ გოლმა თამაშის ბოლო წუთებს სიმწვავე დააკლო, რაკი „დეპორტივო“ დანებდა.

მეორე ფინალისტი პრიმერადივიზიონის ბოლოადგილოსანი „უელვაა“, რომელიც თავის 114-წლიან ისტორიაში პირველად მიუახლოვდა თასს ერთი ხელის გაწვდენაზე. არადა, პირველი ტაიმის მერე „უელვას“ დანა პირს არ უხსნიდა — 0:2 აგებდა, რითაც პირველ მატჩში დაგროვებული ორბურთიანი ფორა სრულად გაფლანგა. მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და სტუმრებმა თამაში შეაბრუნეს, წვიმისგან დამბალ „ელ სადარზე“ ექვს წუთში ორი საპასუხო გაიტანეს და ფინალი დაიბევეს.

ანგარიში პამპლონელთა ავსტრალიელმა ფორვარდმა ჯონ ალოიზიმ გახსნა ახლოდან დარტყმით, რასაც პირველი ტაიმის მიწურულს მოჰამედ მოამ საჯარიმოს კუთხიდან დაბალი დარტყმით მეორე დაუმატა. საბოლოოდ „ოსასუნა“ ალბათ, მაინც ზედმეტმა თვითდაჯერებულობამ დაღუპა. პრიმერადივიზიონის ბოლო ტურებში „რეალის“ მძლეველმა და „ბარსელონასთან“ ფრის გამხერხებელმა ნავარიელებმა დაივიწყეს, რომ ანდალუსიელებმა თავის მხრივ „ატლეტიკო“ და „ბილბაო“ დაამარცხეს, სამ-სამი გოლი გაუტანეს და ახლაც იოლად არ დანებდებოდნენ.

თამაშის განახლებიდან ორიოდ წუთში ფეხმარდმა ფორვარდმა ფრანსისკო ხისკომ ორი მცველი ჩამოიცილა და მასპინძლებს პირველი ბურთი გაუქვითა. ხოლო სანამ პამპლონელები დაითვლიდნენ, ფინალში გასასვლელად კიდევ რამდენი გოლის გატანა სჭირდებოდათ (ორის), მეორე ბურთიც გაუშვეს.

ამგვარად, ფინალში მეოცე და მე-16-ადგილოსანი გუნდები ხვდებიან და იმ დროისთვის, რომელიმე (იქნებ, ორივე) ვინძლო უკვე სეგუნდადივიზიონის ბინადარი იყოს.

„უელვას“ „წარმატებაზე“ უკვე მოგახსენეთ, „მალიორკა“ კი აქამდე ორჯერ გავიდა ფინალში და ორჯერვე დამარცხდა — 1991 წელს „ატლეტიკოსთან“ (0:1), ხოლო 1998-ში „ბარსელონამ“ პენალტების სერიაში მოუგო. ეს „მალიორკას“ მესამე ფინალია.

**გიორგი დარჯანია**

# ადებაიორი ნანტს ეცა

## საფრანგეთი

**ლიგის თასი. 1/4 ფინალი**

**სოშო 1:0დ.დ. (0:0) ლილი**
1:0 მონსორო (109)

**გენიონი 0:5 მონაკო**
0:1 ელ-ფაკირი (14), 0:2 სკილაჩი (40), 0:3 ნონდა (47), 0:4 გალიარდო (75), 0:5 ლანტერი (85)

**ნანტი 0:2 მეცი**
0:1, 0:2 ადებაიორი (823, 86)

**დიდიე დეშანი** იღბლიანი კაცია. ლიგის თასის მეოთხედფინალში მის „მონაკოს" მეორელიგელი მაჩნჩალა „გენიონი" გადაეყარა. მონაკოელები ბრწყინვალე ფორმაში არიან და აბა, „გენიონი" რას გახდებოდა. მომავალ უქმეებზე დეშანის გუნდს „ბორდოსთან" შეხვედრა ელის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები მაინც ათამაშა. „ჟან ლავილის" სტადიონზე მასპინძლებმა 12 500 მაყურებელი თავიანთი საცოდაობის სანახავად შეყარეს. მეთხუთმეტედან მოყოლებული გოლები მხოლოდ დამხვდურთა მეკარის, რიშარ ტრივინოს კარში გადიოდა. „მონაკო" ჰასან ელ-ფაკირიმ დააწინაურა, მერე სებასტიან სკილაჩიმ მეორე მიაყოლა და ტაიმიც ასე დასრულდა.

შესვენების შემდეგ სტუმართა მთავარმეგოლემ შაბანი ნონდამ ტრივიანო მესამედ დაალონა. ანგარიშის შენარჩუნების ნაცვლად „მონაკომ" უფრო გააფთრებით შეუტია. კვლავ მოყოჩაღებულმა მარსელო გალიარდომ სხვაობა ოთხამდე გაზარდა, ბოლოს კი შეცვლაზე შესულმა 18 წლის ლორენ ლანტერიმ გაახუთა.

ბოლო ჟამს გასაცოდავებულმა „ლილმა" „სოშოსთან" იბრძოლა და ოდენ დამატებით დროში წააგო. ჩემპიონატში „ლილი" ზედიზედ შვიდ მატჩში დამარცხდა, თან მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. კლოდ პუელის გუნდი შავ დღეშია და 90 წუთში გოლი რომ არ გაუშვა, სოშოელთა ბრალი უფროა, ვიდრე სტუმართა მცველების კარგი თამაშისა. პირველ ტაიმში მასპინძლებმა გრეგორი უიმბეს ხელთათმანები გვარიანად გაახურეს. საველიჩს, სანტოსს, პაგის უამრავი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ საქმე მაინც დამატებით დრომდე მივიდა. მატჩის მე-80 წუთზე ორი გაფრთხილების გამო ლილელთა მცველი დელპიერი გააძევეს, „სოშომ" ვერც მეტოქის კაცნაკლულობით იხეირეს. 105-ე წუთზე სტუმართაგან საუკეთესო, მეკარე და კაპიტანი, ალბათ გადაღლილობისგან, კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთზე გამოსვლისას შეცდა და მასპინძელთა მცველმა მონსორომ ცარიელ კარში შეაგდო. წუთის შემდეგ ლილელ ტაფოროს გათანაბრება შეეძლო, მაგრამ ტედი სიშერმა „სოშო" იხსნა.

„ნანტმა" მოულოდნელად წაიფორხილა „მეცთან". მთელი მატჩის განმავლობაში უტევდა, ოღონდ ძალიან უხეიროდ. შეხვედრის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე „მეცის" ფორვარდი ადებაიორი იშტაზე მოვიდა და ოთხწუთიან ინტერვალში ნანტელებს წყვილი გოლი გაუტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**



სოშო — ლილი. ფორვარდებმა რომ ვერ ივარგეს, სტუმრებს მცველმა მონსორომ (მარჯვნივ) გაუტანა

## ჰოლანდია

**თასის 1/4 ფინალი**

**პსვ ეინდჰოვენი 2:1 ჰერენვენი**
1:0, 2:0 კეჟმანი (51, 85), 2:1 სამარასი (90)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ბუმა, ოოიერი, ბოგელუნდი, ი. ლი, რომედალი, ფოგელი, ვან ბომელი, რობენი, კეჟმანი, ლეანდრო (ბრუგინკი 67)
*გოგა გახოკიძე სათადარიგო იყო*
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
28 000 მაყურებელი

**აიაქსი 4:1 გრონინგენი**
1:0 სნეიდერი (30), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (50), 2:1 ჰოოგსტრეტი (54), 3:1 ბუხარი (69), 4:1 იბრაჰიმოვიჩი (90)

**ფეიენოორდი 3:1 ვიტესი**
1:0 კალუ (3), 1:1 ბ. პეეტერსი (26), 2:1, 3:1 ვან პერსი (60, 66)

## ამხანაგური მატჩი

**ისრაელი 0:0 მოლდოვა**
ისრაელი: სტრაუბერი (ელიმელეხი 46), ა. ხარაზი (ზანო 46), ანტები (კეისი 56), ბენადო, ბენ-ჰაიმი, ალბერმანი (ბიტონი 65), ბანინი (აბუქსისი 65), დაგო (ბადირი 75), ჰოლცმანი, აბარგილი (აფეკი 75), ტალი (ლუზი 87)
მოლდოვა: ხმარუკი, ანდრიუტა, ტესტიმიცანუ, ოლექსიკი, პუსია, ჩებოტარი, ბორეცი (დადუ 90), პრიგანიუკი, ფრუნზა (გოლბანი 46), ივანოვი, კლეშენკო (პაცულა 60)
მსაჯი: პაოლო ბერინი (იტალია)
8 000 მაყურებელი

**ახალგაზრდულები**

**ისრაელი 0:0 მოლდოვა**

## პორტუგალია

**თასის 1/8 ფინალი**

**სეტუბალი 3:0 კოვილია**
1:0, 2:0 უგო ენრიკე (10, 37), 3:0 რუი მიგელი (79)

## ბელგია

**თასის 1/2 ფინალი. პირველი მატჩი**

**სენტ ტრუიდენი 1:0 ბეერსხოტი**
1:0 მბონაბუკია (85)

## უკრაინა

**თასის 1/2 ფინალი. პირველი მატჩები**

**დნეპრო 0:0 შახტარი**

**ვოლინი 0:4 დინამო**
0:1 გავრანჩიჩი (23), 0:2 დ. რინკონი (24), 0:3 ლეკო (31), 0:4 გავრანჩიჩი (65)
*საპასუხო მატჩები გაიმართება 16 აპრილს*


ბილიარდის მაგიდების წამყვანი მწარმოებლის UAB "Bilijardai" ექსკლუზიური წარმომადგენელი
Zeus company
ზევსი
Bilijardai
ბილიარდის მაგიდები და აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელების



saluc
მასტერი
Master
საუკეთესო წინადადებები ახალი საბილიარდო კლუბების გახსნისას
კონსულტაციები, გარანტია
ფასდაკლება, რემონტი, რესტავრაცია
ტ.95-57-75. ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, უზნაძის ქ. N2 (ცირკ. ბაღი)


## Copa Toyota Libertadores '2003

**ლიბერტადორესის თასი 2003**

**IV ჯგუფი. III ტური**

**ალიანსა (პერუ) 2:3 კობრელოა (ჩილე)**
1:0 ტალანი (15), 1:1, 1:2 მარტელი (31, 65), 2:2 ტალანი (68), 2:3 კორნეხო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხიმნასია | 3 | 1 | 2 | 0 | 6:2 | 5 |
| კობრელოა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ოლიმპია | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ალიანსა | 3 | 0 | 1 | 2 | 4:9 | 1 |

**VII ჯგუფი. III ტური**

**ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 2:1 ბარსელონა (ეკვადორი)**
1:0 ბაროს შელოტო (6), 2:0 დელგადო (69), 2:1 გრაციანი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| ბარსელონა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| ინდეპენდიენტე | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| კოლო კოლო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

**VIII ჯგუფი. III ტური**

**ფენიქსი (ურუგვაი) 6:1 კრუზ ასული (მექსიკა)**
0:1 პალენსია (16), 1:1, 2:1, 3:1, 4:1 ლიგერა (45, 51, 71, 75), 5:1 კუბრელო (79), 6:1 კორტესი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორინთიანსი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ფენიქსი | 3 | 1 | 0 | 2 | 7:4 | 3 |
| სთრონგესტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| კრუზ ასული | 3 | 1 | 0 | 2 | 4:9 | 3 |

# IT'S SONNY

## ანდერსონი ლიონს მარილს მოაყრის

**„ლიონის"** ბრაზილიელი კაპიტანი სონი ანდერსონი გამოჯანმრთელდა და შესაძლოა, მომავალ ტურში „აიაჩოსთან" ითამაშოს. ანდერსონს ტრავმის გამო ორი თვე გაუცდა და მის გარეშე „ლიონს" მარილი აკლდა. 32 წლის ფეხბურთელს თავის დროზე „მონაკოში", „ბარსელონასა" და „მარსელში" უთამაშია. „ჩემს კარიერაში ეს ყველაზე ცუდი პერიოდი იყო — თქვა ანდერსონმა — მოუთმენლად ველი მოედანზე დაბრუნებას. ცხადია, ჯერ ფორმაში არ ვარ, მაგრამ თუ მათამაშებენ, ვგრძნობ, რომ გუნდს ჩემებურად დავეხმარები". ანდერსონს, რომელსაც 1999 წლიდან 101 გოლი მიუთვლია, თანაგუნდელები უფროს ძმას უწოდებენ. ფილიპ ვიოლე: „ის ნამდვილი ლიდერია, როცა სონი მოედანზეა, მას ყველაფერი ძალუძს". სიდნეი გოვუ: „მე და სონი ხშირად ვსაუბრობთ. ანდერსონისგან ბევრი რამ ვისწავლე. მისი დაბრუნებით კიდევ უფრო მოვლონიერდებით და ჩემპიონობისთვის გააფთრებით ვიბრძოლებთ". ჟერემი ბრეშემ მოკლედ მოჭრა: „ის სამაგალითო ადამიანია".

სონი ანდერსონს ბურთაობა სურს. უანდერსონო „ლიონი" ბოლო ორ ტურში გაიმარჯვა. თუ პოლ ლე გუენი აწყობილ გუნდს ბრაზილიელის ხათრით არ გადააწყობს, ფეხბურთელს არც ეს ეწყინება.

**ვაჟა ხუციშვილი**





# კაზადამო ცხრა ნაწილად გაიყო

**სრულიად** „მარსელი" პსჟ-ს გასაბლღვნელად ილესავს კბილებს. 9 მარტს ლედაქალაქელები სამხრეთ საფრანგეთს ეწვევიან. მიმდინარე სეზონში პარიზელთაგან ორჯერ ძლეულ მარსელელებს რევანში სწყურიათ. ზღვისპირელი ფანები ამ მატჩისთვის გამალებით ემზადებიან და ბილეთების შესაძენად ერთი რია-რიაა. ერთ-ერთი სალაროდან 3 ათასი ბილეთი მოიპარეს. პოლიციამ უკვე დააკავა სამი ეჭვმიტანილი, თუმც დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლა. საფეხბურთო კლუბ „მარსელის" უშიშროების სამსახურის უფროსი გი კაზადამო გაწიწმატებული დარბის და თავის ბიჭებს წესრიგის დასაცავად ამზადებს. „ნებისმიერ ქომაგს — თქვა კაზადამომ — ვისაც მოპარული ბილეთი აღმოაჩნდება, ცხრა ნაწილად დავჭრი და ტუალეტში გავრეცხავ", — გამოლოცეს ქუჩებში, თუ კი არა, ჩემპიონატში ვლიდერობთ და ამ კაცის ნაჯაფვს წყალს ნუ მისცემთ, სტადიონზე წესიერად მოიქეცით.

ამ გუნდებს შორის ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა იყო და იშვიათად, რომ მათი შეხვედრები ნგრევა-მტვრევის გარეშე დამთავრებულიყოს. კვირის თამაშს სხვა ინტრიგაც ახლავს. საფრანგეთის თასის მატჩში, რომელშიც პსჟ-მ „მარსელი" 2:1 დაამარცხა, პარიზელთა მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმა გოლის შემდეგ წაიცეკვა და მის ილეთებში მარსელელებმა შეურაცხმყოფელი ელემენტები შენიშნეს. „პსჟ — „მარსელის" შეხვედრების ისტორია იმდენად აწეწილია, რომ ფერნანდესის ცეკვა-თამაში აშკარად სულელური გამოხტომა იყო" — თქვა სამხრეთელთა ნახევარმცველმა ჯონ ეკერმა. „მარსელის" ლიდერი დანიელ ვან ბუიტენი თავისი გუნდის ქომაგთა საქციელს გაუხელებია: „ქალაქში გულშემატკივრები რომ გვხვდებიან, ფერნანდესს გვახსენებენ. მართალი გითხრათ, მომავალ ჯახს სარევანშოდ არ მოვიაზრებ. ფანებს ვთხოვ, გამოხტომებისგან თავი შეიკავონ".

მარსელელთა მთავარმა მწვრთნელმაც გამოთქვა აზრი: „არა მგონია, ფერნანდესი სათასო მატჩის შემდეგ შეცვლილიყო. მას დიდად ვაფასებ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ კვირას საცეკვაოდ საქმე ფერნანდესს კი არა, ჩვენ გვექნება".

**ვაჟა ხუციშვილი**


სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა"
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.
ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21
ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78
სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15



რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80





# ორსულეთი ოლივერის წინააღმდეგ

## კანმა ცოლი სამშობიაროში დააწვინა, თავად გავაგანიერ ვერენასთან დაწვა

*უმნიშვნელო ფიგურად ოლივერ კანი არც მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატამდე მიიჩნეოდა, მაგრამ მის საიმჩემპიონატო საარაკო ჩაუქრობათა შემდეგ გერმანიაში მას უკვე ეროვნული გმირისთვის შესაფერ პატივს მიაგებდნენ.*

*ვაგლახ — უკანასკნელი კვირის განმავლობაში გერმანულმა მედიამ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რათა ფეხმძიმე ცოლის მავან ღამეულ მოცეკვავესთან მოღალატე კანისთვის მთელი მისი გმირული შარავანდედი შემოეძარცვა.*

*მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა თავისი ადიულტერის შესახებ მაშინ აღიარა, როცა მისი მეორე შვილის მშობიარობამდე მხოლოდ რამდენიმე დღელაა დარჩენილი.*

*ამ აღიარებამ გერმანიაში საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია.*

„თავადვე ვიცი, რა ბრიყვული და თვითგამანადგურებელია ჩემი საქციელი" — თქვა კანმა „ბუნტესთვის" ოთხშაბათს მიცემულ ინტერვიუში. კანის „დაცემისადმი" მიძღვნილი მასალა, სათაურით — „ორმაგი ცხოვრება მოცეკვავე გოგოსთან ერთად" — „ბუნტემ", ისევე როგორც სხვა გერმანულმა ჟურნალ-გაზეთებმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნეს.

ეს თემა იყო ქვეყნის უპოპულარულესი გაზეთის, „ბილდის" საპირველგვერდო საკითხავიც ზედიზედ ხუთი დღის განმავლობაში და არცთუ რომელსამე ტელეარხს გაუშვია ხელიდან ლეგენდარული ფეხბურთელისა და მისი 21 წლის ღამკლუბელი საყვარლის რამე-რუმეთა შესახებ ყოველდღიურად წაღადავების შანსი.

ამის შესახებვე ყაყანებდნენ ოფისებში სიგარეტის საფერფლეთ ყუთებთან, რადიოგადაცემებში, მეტროს ვაგონებსა თუ ლუდხანებში.

ცხადია — დღე-დღეზე ბავშვის მომლოდინე ქალის ზურგსუკან ასექსებულ კაცს ყველაზე მეტად მაინც ფეხმძიმე ქალები შემოსწყრენ.

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" მეზობლად |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური უნივერმაღი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | [illegible] |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1° კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „ამ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №16 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „იმერიის" მეზობლად |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანების დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალაში 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

## კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



# ღაჟღაჟა ქოღჟი ფრანგულად შეთხელდა

## მდივანი საქმეს კარგად უძღვება

*ეროვნული ნაკრების მომავალი მწვრთნელი უკვე შერჩეულია, თუმც კალათბურთის ფედერაცია მის ვინაობას საქართველოში ჩამოსვლამდე არ ახმაურებს. მაგრამ ვინც უნდა იყოს ნაკრების თავკაცი, ის ალბათ სანაკრებოდ პო ორტეზში მოთამაშე გიორგი მდივანსაც გამოსცდის. ზაფხულში ორი წელი შესრულდება, რაც მდივანი ფრანგულმა „პო ორტეზმა" დუბლშემადგენლობაში აიყვანა. გიორგი ზორბა, ფერხორციანი და, ცოტა არ იყოს, მსუქანიც გვახსოვს , მას მეგობრებმა „ლოქოც" კი შეარქვეს. ახლა ის ახოვანი, ათლეტური ფორვარდია და საფრანგეთის ყველაზე ტიტულიანი გუნდის ძირითადშიც გაეხსნა გზა. მდივანი ამას წინათ პირველად გამოჩნდა „პო ორტეზის" ძირითადში და მას მერე ყველა მატჩი ითამაშა.*

*პოელები ევროლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე ვერ გავიდნენ, სამაგიეროდ, საფრანგეთში ჩემპიონობის ყველაზე რეალური კანდიდატები არიან და საპლეიოფო მატჩებში, ქართველის იმედიც აქვთ. გიორგის საფრანგეთში დავუკავშირდით...*

— „პო ორტეზის" ძირითად შემადგენლობაში თამაში წინ გადადგმული ნაბიჯია. შენი აზრით, რით დაიმსახურე მწვრთნელის ნდობა?

— ალბათ იმით, რომ საკმაოდ მოვუმატე გამოცდილება დავაგროვე და მწვრთნელმაც გადაწყვიტა, ნაღდ ბრძოლებში გამოვეცადე. უკვე მეორე სეზონია, „პო ორტეზის" სარეზერვო გუნდში ვთამაშობ, თავს არ ვზოგავ და მჯეროდა, რომ ადრე თუ გვიან ძირითად შემადგენლობაშიც მომეცემოდა თავის გამოჩენის შანსი. თუმცა ეს პროცესი ჩვენი ძირითადი ფორვარდების, ფაბიენ დუბოსისა და ფლორენ პიეტრუსის ტრავმირებამ დააჩქარა. ეს სამი კვირის წინ მოხდა, მაშინ „პო ორტეზის" მწვრთნელმა ფრედ სარემ ინტერვიუში განაცხადა, ჩვენი ახალგაზრდული გუნდის ფორვარდი გიორგი მდივანი უნდა გამოვცადოო. რომ მათამაშებდნენ, პირველად გაზეთიდან შევიტყვე.

— როგორი დებიუტი გქონდა?

— საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩში „შოლეს" ვხვდებოდით და 6 წუთი ვითამაშე. ვფიქრობ, ურიგოდ არ გავრჯილვარ, 4 ქულა ჩავაგდე.

— მწვრთნელმა არაფერი გითხრა?

— მთავარმა მწვრთნელმა არა, მაგრამ როგორც მისმა ასისტენტებმა მითხრეს, სარე ჩემით კმაყოფილი დარჩენილა. რომ არ მოვწონებოდი, მომავალ მატჩებში ხომ აღარ მენდობოდა, მით უმეტეს, დაშავებული ფორვარდები მალევე გამოჯანმრთელდნენ, მან კი მომდევნო ორ შეხვედრაშიც მათამაშა.

— რა პოზიციაზე დაგაყენეს? აქედან რომ წახვედი, ისეთი „წონიანი" იყავი, ცენტრობა შეგეფერებოდა...

— 10 კილო დავიკელი, უფრო მოძრავი და სწრაფი გავხდი. ხშირად თავდამსხმელად ვთამაშობ, ცენტრადაც მაყენებენ-ხოლმე.

— „პო ორტეზის" მეორე გუნდში აღარ თამაშობ?

— როგორ არა, საფრანგეთის ჩემპიონატში ძირითად გუნდებამდე დუბლშემადგენლობები თამაშობენ და ისე გამოდის, რომ დღეში ორ მატჩს ვატარებ. ეგაა, სარეზერვო გუნდთან აღარ ვვარჯიშობ, მხოლოდ თამაშებში ვეხმარები, ვარჯიშები კი „პო ორტეზის" ძირითად გუნდთან მაქვს.

— საფრანგეთის ჩემპიონატი რა სტადიაზეა?

— რეგულარული ჩემპიონატი მიმდინარეობს, მალე პლეი ოფის მატჩებიც დაიწყება. საუკეთესო ოთხეული პირველობისთვის ბრძოლას გააგრძელებს. „პო ორტეზი" პირველ ადგილზეა და 3 ქულით უსწრებს „ვილერბანს". როგორც მითხრეს, პლეი ოფში შედარებით მეტი დროით მათამაშებენ.

— საფრანგეთში არაევროკავშირელებზე ლიმიტია?

— არა, აქ მხოლოდ ამერიკელთა თამაშია შეზღუდული. განაცხადში სამ ამერიკელზე მეტის შეყვანა არ შეიძლება, სხვა უცხოელებზე კი ლიმიტი არ არსებობს.

— რამდენწლიანი კონტრაქტი გაკავშირებს „პო ორტეზთან"?

— სამწლიანი, რომელიც ყოველი სეზონის წინ შეიძლება გაუქმდეს. მე, ჩემის მხრივ ყველაფრით კმაყოფილი ვარ და არსად გადასვლა არ მინდა. უფრო ძლიერი კლუბის ვარიანტიც რომ გამოჩნდეს, არ დავთანხმდები, ჩემი შესაძლებლობების შესახებ ყველაზე კარგად „პო ორტეზში" იციან. ბევრი მინახავს, აქ მოხვედრაზე რომ ოცნებობს, მე კი, ფაქტობრივად, უკვე დავიმკვიდრე ადგილი „პო ორტეზში".

**ირაკლი ბერტაია**

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დენვერს მრეცხავები სჭირდება

## აქ იმდენს ისვრიან...

5 მარტი

**მემფისი 96:86 დენვერი**

**მემფისი:** უილიამსი (8 ქულა, 14 პასი), პერსონი (20), ბეტიე (7), გასოლი (13), სვიფტი (24 ქულა, 10 მოხსნა, 6 დაფარება); მილერი (12), ბატისტი (4), უოტსონი (4), ნაითი (4)

**დენვერი:** ჰარინგტონი (2), იარბრო (8), ცქიტიშვილი (19 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), ჰოვარდი (14), ილარიო (14); ვაიტი (14), ჰარვი (9), ანდერსენი (6), კემბი (5), უილიამსი (10), სავოვიჩი (2), ბოუენი

**ლეიკერსი 97:95 ინდიანა**

**ლეიკერსი:** შ. ონილი (26 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება), ბრაიანტი (20), ფიშერი (19)

**ინდიანა:** ჯ. ონილი (28 ქულა, 11 მოხსნა), არტესტი (17 ქულა, 11 მოხსნა), ბ. მილერი (16)

**საკრამენტო 96:95 მინესოტა**

ძირითადი დრო 83:83

**საკრამენტო:** ვებერი (25 ქულა, 11 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (20 წუთი)

**მინესოტა:** გარნეტი (27 ქულა, 24 მოხსნა), შჩერბიაკი (16), ჰადსონი (16)

**ვაშინგტონი 99:80 კლიპერსი**

**ვაშინგტონი:** სტეკჰაუზი (20), ჰიუზი (20)

**კლიპერსი:** მეჯიტი (14)

**ორლანდო 111:99 მილუოკი**

**ორლანდო:** მაკგრეიდი (48 ქულა, 10 მოხსნა), გუდენი (26 ქულა, 16 მოხსნა)

**მილუოკი:** პეიტონი (16), რედი (16)

**ფინიქსი 98:92 პორტლენდი**

**ფინიქსი:** მარბერი (33), მარიონი (22)

**პორტლენდი:** ვოლესი (22)

**იუტა 94:83 სიეტლი**

**იუტა:** მელოუნი (23 ქულა, 10 მოხსნა), კირილენკო (19 ქულა, 11 მოხსნა)

**სიეტლი:** ალენი (24)

**ტორონტო 95:97 ჰიუსტონი**

**ტორონტო:** კარტერი (21), დევისი (19)

**ჰიუსტონი:** მინგი (21), ფრენსისი (19)

**ბოსტონი 97:95 ნიუ იორკი**

**ბოსტონი:** უოლკერი (34), პირსი (24)

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (22), სპრიუელი (18)

**კლივლენდი 105:111 ატლანტა**

**კლივლენდი:** ილგაუსკასი (27 ქულა, 11 მოხსნა)

**ატლანტა:** ტერი (24 ქულა, 14 პასი), აბდურ-რაჰიმი (23), რობინსონი (23)

ნიკა ცქიტიშვილის ხუთეულის მოთამაშედ დაწინაურებამ დუიმითაც ვერ წასწია „დენვერი". დენვერელებს უკვე ნბა-ელ მტაცებელთა მსხვერპლიც კი აღარ ეთქმით. საკმარისია, მემფისისთანა კოჭლმა მონადირემ პირი გააღოს, რომ „ნაგიტსი" თავისით უვარდება ხახაში. ეს წაგება „დენვერისთვის" ზედიზედ მე-14 იყო და საქმე იქით მიდის, ჯეფ ბზდელიკის ბავშვები მალე საშვილიშვილოდ შეირცხვენენ თავს. კლუბის ყველა დროის რეკორდი ზედიზედ 16 მარცხია და ის 1998 წლის „დენვერის" დაუმყარებია. ეს „დენვერი" კი იმ რეკორდის ავტორზე ძაბუნი და მოუნდომებელი ჩანს და ვის გაუკვირდება, თუ მას რეკორდს წაართმევს?

კლუბის ბოსები კი იმის ნაცვლად, რომ ბიჭებს დაუცაცხანონ და მწვრთნელს გამარჯვება მოსთხოვონ, თავის გრძელვადიანი გეგმის ნაწილად თვლიან წლევანდელ ჩავარდნას და ყველაფერი თვითდინებაზე მიუშვიათ.

ჯეფ ბზდელიკი ჯიუტად ოთხი ახალბედით იწყებს თამაშს და ცქიტიშვილს, რომელიც კლუბმა შეტევაში „უკიდეგანო" პოტენციალის გამო აიყვანა, დაცვაში თამაშს ავალებს. მოედნის „დენვერის" ნახევარზე შეინ ბეტიესა და პაუ გასოლის დევნაში გართულმა ნიკამ კვლავ ჩააფლავა შეტევაში თამაში და გუნდს მხოლოდ ორი ქულა მიაშველა. არადა, „დენვერს" ყველა თავისი მოთამაშისგან სჭირდება ქულები და რაც შეიძლება მეტი. „ნაგიტსი" ხომ ამ მხრივ ყველაზე გაჭირვებულია, ეს გუნდი ნბა-ში ყველაზე ცოტა ქულებს აკეთებს.

ვის ვის, და „ლოს ანჯელეს ლეიკერსს" კი ნაღდად არ უჭირს ამ მხრივ. ამ ორგანიზაციას აქვს შესანიშნავი ხარისხის, თან ორი ცალი ქულების მკეთებელი მანქანა — „კობი" და „შაკი". „კობი" ცოტა გადაიტვირთა, ამ ბოლო თვენახევარში გიჟურ ტემპში იმუშავა და ამიტომაც „ლეიკერსმა" მას „ინდიანასთან" მხოლოდ 20 ქულა გამოსწურა. თუმც რატომ იდარდოს, მეტოქის ძლევას ესეც ეყო.

ამ თამაშში კობი ბრაიანტმა 10 000-ქულიან ზღვარს გადააბიჯა და გახდა ნბა-ს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა, ვინც ეს შეძლო. კობიმ ეს თამასა 24 წლისამ და 193 დღისამ დაძლია. ძველი რეკორდსმენი ბობ მაკადუ იყო, ვინც იგივე რამე 25 წლისამ და დაახლოებით 5 თვისამ შეძლო სადღაც 70-იან წლებში.

„ის განუმეორებელია. მე ბედნიერი ვარ, რომ კობი ჩემს გუნდში თამაშობს" — თქვა შაკმა ნამატჩევს. სხვათა შორის, თავად შაკი მესამეა 10 000-ქულიან ახალგაზრდებს შორის (25 წლის და 11 თვის). ახლოს ტრიალებენ მაიკლ ჯორდანი (25 წლის და 343 დღის) და ქარიმ აბდულ-ჯაბარი (25 წლის და 344 დღის).

ჯორდანი ვახსენეთ და მისი კიდევ ერთხელ ხსენების საბაბიც გაგვიჩნდა. ეს დღეებია, მაიკლს ზურგის ტკივილები სტანჯავს. ექიმმა ურჩია, დატვირთვას მოერიდეო, მაგრამ ჯორდანი მაინც გავიდა „კლიპერსთან" სათამაშოდ და 10 ქულა ჩააგდო. მის „ვაშინგტონს" მეტი არ სჭირდებოდა, თორემ ბებერი მაიკლი ამაზე რას გაჩერდებოდა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# NBA მამაშვილურად





ჯონ სტოქტონი ნბა-ში ჯერ კიდევ მაშინ თამაშობდა, როცა ნენე ილარიო და ნიკა ცქიტიშვილი საარულს სწავლობდნენ

**კარგა ხანი** გავიდა ნიკა ცქიტიშვილის ნბა-ში მისვლიდან. ჩვენებურმა მონაწილეობა მიიღო თავისი გუნდის ყველა თამაშში ერთის გარდა და თამამად შეგვიძლია, ვთქვათ რომ ნბა-ში მეორე ქართველის დებიუტი შედგა. ახლა ისიც ვიკითხოთ, რამდენად წარმატებულია მისი დებიუტი? ნიკა ყოველ მატჩში საშუალოდ 14,4 წუთს თამაშობს და 3,5 ქულას აგდებს. აღსანიშნავია, რომ ნბა-ში მოთამაშე დაახლოებით 400 მოთამაშეში ცქიტიშვილი ასაკით მხოლოდ ვიღაც მილუოკელს, ჯამალ სემპსონს აღემატება, ნიკა 19 წლისა და 10 თვისაა. საინტერესოა, რას აკეთებენ ცქიტიშვილის ტოლები? ამარე სტუდემაიერი ყოველ მატჩში 13 ქულაზე მეტს აგროვებს და ეს ძლივს ოცი წლის ბიჭი ამხელა ნბა-ში მეათეა მოხსნებში. ცქიტიშვილზე სამი წლით უფროსი დეჯუან ვაგნერიც ლიდერთაგანია თავის კლუბში.

გთავაზობთ გაზეთ USA TODAY-ს მიერ შედგენილ ამ ორ ცხრილს, სადაც შეყვანილია დღევანდელი ნბა-ს 10-10 ყველაზე ახალგაზრდა და მოხუცი მოთამაშე. აქვე მოგვყავს მათი საშუალო მაჩვენებლები — წუთები და ქულები.

| | | | |
|---|---|---|---|
| **ბავშვები** | | | |
| ჯამალ სემპსონი (მილუოკი) | 19 წლის, 9 თვის | 1,6 | 0 |
| ნიკა ცქიტიშვილი (დენვერი) | 19 წლის, 10 თვის | 14,4 | 3,5 |
| დეჯუან ვაგნერი (კლივლენდი) | 20 წლის, 1 თვის | 29,7 | 13,8 |
| ედი კარი (ჩიკაგო) | 20 წლის, 2 თვის | 15,7 | 7,7 |
| ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) | 20 წლის, 3 თვის | 31,8 | 13,4 |
| ტაისონ ჩანდლერი (ჩიკაგო) | 20 წლის, 4 თვის | 22,8 | 9,1 |
| ნენე ილარიო (დენვერი) | 20 წლის, 5 თვის | 27,9 | 9,8 |
| კრის ვილკოქსი (კლიპერსი) | 20 წლის, 6 თვის | 7,4 | 2,3 |
| ჯერალდ ვოლესი (საკრამენტო) | 20 წლის, 7 თვის | 14,1 | 5,3 |
| ედი გრიფინი (ჰიუსტონი) | 20 წლის, 9 თვის | 25,3 | 8,7 |
| **მოხუცები** | | | |
| ჯონ სტოქტონი (იუტა) | 40 წლის, 11 თვის | 28,1 | 11,2 |
| კევინ ვილისი (სან ანტონიო) | 40 წლის, 5 თვის | 12,0 | 4,4 |
| მაიკლ ჯორდანი (ვაშინგტონი) | 40 წლის, 1 თვის | 36,3 | 19,7 |
| კარლ მელოუნი (იუტა) | 39 წლის, 7 თვის | 36,5 | 20,5 |
| ჩარლზ ოკლი (ვაშინგტონი) | 39 წლის, 3 თვის | 12,3 | 1,9 |
| არვიდას საბონისი (პორტლენდი) | 38 წლის, 1 თვის | 15,6 | 5,9 |
| კრის დადლი (პორტლენდი) | 38 წლის, 1 თვის | 3,7 | 0 |
| აივერი ჯონსონი (დალასი) | 37 წლის, 11 თვის | 9,7 | 3,6 |
| მარკ ჯექსონი (იუტა) | 37 წლის, 1 თვის | 18,2 | 5,0 |
| მარკ ბრაიანტი (ბოსტონი) | 37 წლის, 9 თვის | 6,5 | 0,9 |

*8 მარტს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში რიგით მეორე „ქართული დერბი" შედგება. „დენვერის" ძირითადს გაჩვეული ნიკა ცქიტიშვილი უკვე ფლორიდაშია და ხვალ ვლადიმერ სტეფანიას და მის „მაიამის" დაუპირისპირდება. მანამდე დენვერელები მაიამიდან საათის სავალ ალაგზე გოლფის თამაშს აპირებენ. ამ საქმეში ტყემალზე მჯდომ ნენე ილარიოსა და ნიკა ცქიტიშვილს სახელდახელოდაც კი ავარჯიშებენ.*
*ნიკას რომ დავუკავშირდით, თვითმფრინავი უკვე მაიამის აეროპორტში დაშვებულიყო და ტრაპზე გასულ ქართველს ასეთი რეაქცია ჰქონდა: აუჰ, როგორ ცხელა, მაიამი კი არა, ტაშკენტია, აქ ცურვაც შეიძლება...*

# მოაწყვეთ შვილები დენვერში!

## მსოფლიოში საუკეთესო საბავშვო ბაღში პატარებს კარგად კვებავენ, ართობენ და მილიონებსაც უხდიან



REUTERS ფოტო

ნიკა ცქიტიშვილი ატლანტელ „დიდ ძაღლს" გლენ რობინსონს გაურბის

— **„გრიზლიზთან" მატჩში ზედიზედ მეოთხედ ითამაშე სასტარტო ხუთეულში. რა ხდება? აქამდე უკმაყოფილო იყავი, მწვრთნელი არ მათამაშებსო...**

— ჩემს პოზიციაზე ხუთეულში მოთამაშე რაიან ბოუენი დაშავებულია და ჯეფ ბზდელიკიც ალბათ ამიტომ მაყენებს ხუთეულში. თანაც, მწვრთნელმა იმ დღეს მითხრა, ადრინდელთან შედარებით თამაშის ხარისხი გააუმჯობესე, უფრო შედეგიანი ხარ და შეიძლება, ბოუენის მომჯობინების შემდეგაც დაგაწყებინო-ხოლმეო.

— **შენს სათამაშო მაჩვენებლებს რაღაც არ ეტყობა მატება, ბზდელიკი ალბათ სხვა მხრივ გაფასებს...**

— სამწუხაროდ, ისევ მიჭირს ქულების მოპოვება, ხან კარგად წამივა სროლები, ხანაც სასწაულად არ მიმართლებს. თამაშის ხარისხის მომატებაში ბზდელიკი დაცვას გულისხმობს. თავის ქება არ მინდა, მაგრამ საკუთარ ნახევარზე მართლაც კარგად ვთამაშობ. თანაც ჩვენს ბოლო მეტოქეებს საკმაოდ მაღალი ფორვარდები ჰყავდათ და ხუთეულში ჩემს დაყენებას ალბათ ამანაც შეუწყო ხელი. „ფილადელფიასთან" მატჩში კენი ტომასს ვიჭერდი და საიმედოდაც, „ატლანტასთან" კი ბზდელიკმა მრისხანე ფორვარდის, გლენ რობინსონის მეურვეობა დამავალა. ურიგოდ მართლაც არ მითამაშია, რაც მოედანზე ვიყავი, რობინსონმა მხოლოდ ერთი ქულა ჩააგდო. თავად გლენიც ერთხელ დაჯარიმდა ჩემზე და ორივე ტყორცნა ჩავაგდე, ერთხელაც რობინსონთან ფარქვეშა ბრძოლა მოვიგე.

— **„მემფისთან" სამიოდ საათის წინ დასრულებულ მატჩში თავი ვერ გამოიჩინე, „დენვერმაც" წააგო...**

— თავიდან ტოლ-სწორად კი ვეთამაშეთ, მაგრამ მათმა პაუ გასოლმა ჩვენი ნენე ილარიო აშკარად დაჯაბნა ფარქვეშ და მატჩის ბედიც ფაქტობრივად ამ დაპირისპირებამ გადაწყვიტა. მე 19 წუთი ვითამაშე და მხოლოდ 2 ქულა ჩავაგდე.

— **ბოლო მატჩებს „დენვერი" 4 ახალბედათი იწყებს, რაც იშვიათი შემთხვევაა ნბა-ში. ნიშნავს ეს იმას, რომ გუნდის ხელმძღვანელობამ საბოლოოდ შეაქცია ზურგი გამოცდილებს და მთლიანად ახალგაზრდებზე გადმოერთო?**

— გუნდის უფროსები აქამდეც არ მალავდნენ, რომ მათი მიზანი ახალგაზრდებისგან ხეირიანი კალათბურთელების გამოზრდა და მათგან ძლიერი გუნდის შექმნაა. ახლა კი მართლაც აშკარაა მათი ასეთი განწყობა, ამას წინათ გუნდიდან საკმაოდ გამოცდილი კრის ვიტნი გაუშვეს და „ბოსტონიდან" გაცილებით ახალგაზრდა შემონდ უილიამსი შეიმატეს. ორიოდ გამოცდილი კალათბურთელი თუ შეგვრჩა. აქამდე ხუმრობდნენ, ახლა კი „ნაგიტსი" მართლაც საბავშვო ბაღია და...

— **და მიყოლებით 13 წაგებაც დაგგროვებიათ...**

— „დენვერის" შეფები წაგებაზე კარგა ხანია, აღარ დარდობენ. გვიჩიჩინებენ, ნურაფერს აქცევთ ყურადღებას, ეცადეთ, კარგად გამოიყენოთ ის გამოცდილება, ნბა-ს ვარსკვლავებთან თამაშისას რომ იღებთო. ის კი არა, წაგებებით გამოწვეული დარდი რომ გაგვიქარვონ, სხვადასხვანაირ გასართობებს იგონებენ. ახლაც „მაიამისთან" მატჩამდე ორი დღეა და გოლფის ტურნირს აწყობენ.

— **მერე გეხერხება გოლფის თამაში?**

— „დენვერში" მხოლოდ მე და ნენე ვერ ვთამაშობთ, დანარჩენებს რომ ჰკითხო, ტაიგერ ვუდსები არიან. მე და ილარიოს ამ დღეებში კალათბურთთან ერთად მწვრთნელები გოლფშიც გვავარჯიშებდნენ და ცოტა ალღო ავუღეთ. დღესაც გავივარჯიშებთ და ტურნირიც დაიწყება. ყველა სერიოზულად ემზადება, გამარჯვებულებს საკმაოდ დიდ თანხას ჰპირდებიან.

— **რა დროს გოლფია, „მაიამისთან" პრინციპული მატჩი გელით...**

— კი, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელები ცდილობენ, ამით ხასიათი გამოგვიკეთონ, გოლფიც სპორტია და სულის სიმტკიცეს უწყობს ხელსო. 12 მარტისთვის კიდევ ერთი გასართობი გველოდება, დენვერის „პეპსი სენთერში" კაზინოს მოწყობას აპირებენ. შუა მოედანზე სათამაშო მაგიდები იქნება გაშლილი, ჩვენ კრუპიეები ვიქნებით და გულშემატკივრებს ვეთამაშებით.

საერთოდაც, „დენვერში" ახალბედებს განსაკუთრებულად გვეპყრობიან, სხვადასხვა სკოლაში დავდივართ და ასობით მოსწავლის თვალწინ ვვარჯიშობთ. მე ყოველ პარასკევს მიწევს ბავშვებთან შეხვედრა, წიგნებს ვუკითხავ, ჩემი საკალათბურთო კარიერის შესახებ ვუყვები, ბოლოს კი „დენვერის" მატჩის ბილეთებით ვასაჩუქრებ.

— **გამოდის, ინგლისური კარგად გისწავლია, გაზეთ „დენვერ პოსტში" ამოვიკითხეთ, ცქიტიშვილი უაქცენტოდ ლაპარაკობს, ოღონდ ყოველ წინადადებას სიტყვა MAN-ს ურთავსო...**

— აბა, რა იქნება, გუნდში სულ ზანგები მყავს, ესენი კი სლენგზე ლაპარაკობენ და, ქართველი ძველი ბიჭებისა არ იყოს, ყველა წინადადებას „ძმაო" აყოლებენ. მეც მივეჩვიე და ახლა მიჭირს გადაჩვევა... იმ ჟურნალისტს მარტო ეს ნაკლი რომ გამოერჩია რა უჭირს, კიდევ ბევრი ცუდი თქვა ჩემზე.

— **აბა, სულ კარგს ხომ არ დაწერს, როცა შესაქები ხარ, გაქებს კიდეც...**

— კი, მაგრამ ხანდახან ზედმეტი მოსდის, ისეთ რაღაცეებს მიედ-მოედება, რაც კალათბურთთან კავშირში არაა. იმ დღეს დარბაზში შემხვდა და ისეთი შევუღრინე, მოკარება ვერ გაბედა, ერთი სული მაქვს, თხუთმეტიოდე ქულა ჩავაგდო და ხმა ჩავაკმენდინო.

— **მაიამიში ხარ და მატჩამდე ვლადიმერ სტეფანიას ნახვას არ აპირებ?**

— ჩვენი გუნდი მაიამიდან ერთი საათის სავალ ზღვისპირა სასტუმროში დაბინავდება. ეს ადგილი ამერიკის საგოლფე ცენტრად ითვლება, ტურნირსაც იქ ვაწყობთ. მაიამიში მხოლოდ სათამაშოდ ჩავალთ. ასე რომ, სტეფანიას ალბათ მხოლოდ მოედანზე შევხვდები. ისე კი, „მაიამი" დენვერში რომ ჩამოვიდა, ვოვა თავად მოვნახე და შინაც დავპატიჟე, თუ შეხვედრა სურს, ალბათ თვითონ მომნახავს.

— **8 მარტს სტეფანიას მეტოქე კი იქნები, მაგრამ ალბათ მალე მოგიწევს მასთან ერთად თამაში, საქართველოს ნაკრებს დღე-დღეზე ახალ მწვრთნელს დაუნიშნავენ... რაიმე პრობლემები ხომ არ შეგექმნებათ საქართველოში წამოსვლასთან დაკავშირებით?**

— სანამ ნბა-ს სეზონი არ დასრულდება, აქედან არავის გამოგვიშვებენ, მერე კი ალბათ პრობლემა არ უნდა იყოს. სტეფანია რა აზრზეა, არ ვიცი, მე კი, თუ გამათავისუფლებენ, დაუფიქრებლად წამოვალ საქართველოში.

— **უკვე სამ წელზე მეტია, სტეფანია საქართველოში არ ყოფილა. როგორ ფიქრობ, ახლა ჩამოვა? ამ თემაზე ხომ არ გილაპარაკია მასთან?**

— ნაკრებში თამაშზე არ მილაპარაკია, ისე კი, არ ვიცი, ჩამოვა თუ არა საქართველოში. როგორც მითხრა, სლოვენია ძალიან უყვარს, იქ სახლი აქვს და, მგონი, სლოვენიელი ცოლის მოყვანასაც აპირებს. ვოვა უკვე სლოვენიის მოქალაქეა, იქაური პასპორტიც რა ხანია, აიღო.

— **სლოვენიას ყველა აქებს. სხვათა შორის, ვლადიმერ ბოისაც სლოვენიელის შერთვას აპირებს და ამბობს, აქ ცხოვრებას ვაპირებო.**

— სლოვენია მართლაც ლამაზი და მყუდრო ქვეყანაა. თუ ევროპაში გადავწყვეტ სახლის ყიდვას, ან იქ, ან იტალიაში. სლოვენიაში ცხოვრება და ამ ქვეყნის მოქალაქეობა კი იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს ნაკრებში არ ვითამაშო.

**ირაკლი პერტაია**





# ლაბაძეს მარტინი არ უყვარს

**FRANKLIN TEMPLETON TENNIS CLASSIC**

**სკოტსდეილი. ჰარდი**
**საპრიზო 380 ათასი $**

**მეორე წრე**

**მარიანო საბალეტა (არგენტინა) — რაინერ შიუტლერი (5, გერმანია) 6:3, 2:6, 6:4; ჯეიმს ბლეიკი (აშშ) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 7:6 (7:5), 6:7 (1:7), 6:2; დავიდ სანჩესი (ესპანეთი) — ჯოვანი ლაპენტი (ეკვადორი) 6:3, 7:6 (7:5); ტეილორ დენტი (აშშ) — სისილ მამიტი (აშშ) 4:6, 6:2, 6:0**

წინა წრეში გავარდნილ განთესილებს — ანდრე აგასის (2), პარადორნ შრიჩაფანს (4), ხუან იგნასიო ჩელასა (7) და ქსავიე მალისს (8) იმ დღეს რაინერ შიუტლერიც (5) მიაყოლეს. ავსტრალიის წლევანდელი ღია პირველობის ფინალისტი 25 წლის არგენტინელმა, წინა უქმეებზე აკაპულკოურ ფინალში თვისტომ კალერისგან ძლეულმა მარიანო საბალეტამ გააძევა.

საბალეტა, ვინაც მსოფლიო კლასიფიკაციის 38-ე საფეხურზე დგას, წლეულს უკვე მეოთხე მეოთხედფინალში გავიდა. ეს მისი მე-17 საამსეზონო მატჩი და მე-12 საამსეზონო გამარჯვება იყო.

თავისი ბოლოდროინდელი რიგიანი ბურთაობა საბალეტამ დეკემბერში კარგად მოშხაღებითა და უხვოფლიანი ვარჯიშებით ახსნა. ამან თვითრწმენა შემმატა და ძალმოსილებით ამავსოო.

მის თვითრწმენასა და ძალმოსილებას მეოთხედფინალში ამერიკელთა ჯილა ჯეიმს ბლეიკი გამოსცდის, ვინაც — თავის მხრივ — პირველივე წრიდან ანდრე აგასის მაიტარ შვედ ენკვისტს მოერია.

ბლეიკს ენკვისტის დამორჩილება მეორე სეტშივე შეეძლო, მაგრამ გაუტეხელმა ჩრდილოელმა მას ხუთი მატჩბურთი გაუცუდა და მანამ არ დაცხრა, სანამ გადამწყვეტ ხელში ილაჯი არ მოისაკლისა.

სხვაფრივ — ტეილორ დენტი, წინისწინა კვირას მემფისში კარიერის მეორე ტიტულის მომხვეჭი იანკი, იმ დღეს თვისტომ მამიტს პირველად შეხვდა და თავისი ზედიზედ მეშვიდე შეხვედრა მოიგო.

მეოთხედფინალში დენტი დავიდ სანჩესს, მემფისამდე ერთი კვირით ადრე ვინა დელ მარში კარიერის პირველი ტიტულის მომრევ ესპანელს შეხვდება.

**INTERNATIONAL TENNIS CHAMPIONSHIPS**

**დელრეი ბიჩი. ჰარდი**
**საპრიზო 380 ათასი $**

**მეორე წრე**

**ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:4, 6:2; მარსელო რიოსი (3, ჩილე) — მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია) 2:6, 6:4, 7:5; მარდი ფიში (აშშ) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:2, 7:6 (7:4); ლი ჰიუნგ-ტაიკი (სამხრეთ კორეა) — მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:2, 6:3**

მემფისური წარმატების გამეორება და მორიგ „ამერიკულ მეოთხედფინალში" გასვლა ირაკლი ლაბაძეს 24 წლის ბარსელონელმა ალბერტო მარტინმა არ დაანება. ლაბაძე და მარტინი ერთმანეთს 1999 წელს ატლანტაშიც შეხვედრიოდნენ და ესპანელს იმ ჯერზეც ემარჯვა (2:6, 6:4, 7:6).

დანარჩენი მატჩებიდან გამოსარჩევია მსოფლიოს ოდინდელი მეპირველე რიოსის მიერ მილანის წლევანდელი ჩემპიონის, გლაჯუნა ჰოლანდიელი ვერკერკის დაჯაბნა. ჩილელი წლეულს მესამე მეოთხედფინალში გავიდა და იქ კორეელ ლისთან პაექრობა მოუწევს. 27 წლის ლის, ვინაც ადრეიანვარში სიდნეურ კორტებზე კარიერისა და კორეის პირველი ტიტული მოიპოვა, დელრეი ბიჩში ჯერ სეტიც არ წაუგია. ის ახლა ჩაუქ ფორმაშია და ამიტომ მისი და რიოსის შეხლა დასტურ ამოდსაცქერი რამ უნდა იყოს.

**ლევან ძელაურაძე**

ევროპის ერთა თასი 2003. მესამე ტური

## რუსეთი — საქართველო

8 მარტი. კრასნოდარი. «დინამო». 15 საათი

# დათვის ტყავი თუ ბრჭყალები?

**ᲒᲣᲨᲘᲜ** საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა ის 22-კაციანი შემადგენლობა დაასახელა ხვალ რუსეთს რომ დაუპირისპირებს. სორელს ბევრი საფიქრალიც არ ჰქონდა, რაკი შეკრებაზე მყოფი 23 მორაგბიდან ერთზე უნდა ეთქვათ უარი და ის ერთი „ლელოს" მორკინალი მამუკა გორგოძე აღმოჩნდა.

საქართველოს ნაკრების სარუსეთო შემადგენლობა:

**ᲛᲝᲠᲙᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘ**: გოდერძი შველიძე, ტარიელ რატიანიძე, მევლუდ მთიულიშვილი, ვანო ნადირაძე (ყველა ბეზიე), აქვსენტი გიორგაძე, ილია ზედგინიძე (როვიგო), დავით ხინჩაგაშვილი (სენ-ნაზერი), ვიქტორ დიდებულიძე (კანი), ზურაბ მჭედლიშვილი (დომონი), დავით ბოლღაშვილი (უნივერსიტეტი), გია ლაბაძე (ტულონი), გრეგუარ იაშვილი (მეტრო-რასინგი)

**ᲣᲙᲐᲜᲐ ᲮᲐᲖᲘ**: ირაკლი აბუსერიძე, პალიკო ჯიმშელაძე (ორიიაკი), მერაბ კვირიკაშვილი (ლელო), ირაკლი გიორგაძე (შალონი), თედო ზიბზიბაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი (ტური), კახა ალანია (ლოკომოტივი), ირაკლი გუნდიშვილი (უნივერსიტეტი), ბადრი ხეხელაშვილი (ანგულემი), ბესიკ ხამაშურიძე (ოში).

დღეს დილით საქართველოს ნაკრები საგურამოში წაივარჯიშებს. ნაშუადღევს კი ჩარტერული რეისით კრასნოდარში გაფრინდება.



კლოდ სორელი

# ცაბაძეს ეჭვის თიაქარი ღრღნის

## მერსერონი გაპედერასტეს



*ცუდად წაუვიდა საქმეები საქართველოს ნაკრების ყველაზე პოპულარულ მორაგბეს ლევან ცაბაძეს. ბორჯღალოსანთა ექს-კაპიტანს ზედ ერთა თასის დაწყების წინ საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩი საზარდულის კუნთი გაუწყდა და თავისიანებს ტურნირის ბოლომდე დააკლდა. მერე კი ვარსკვლავებით დახუნძლულმა მისმა „მონფერანმა" სეზონი ჩააფლავა და ახლა ჩემპიონობისთვის ბრძოლის ნაცვლად ელიტარებში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. ცაბაძის უიღბლობა ამით არ დასრულებულა, ახლახან გაირკვა, რომ ლევანს საზარდულმა მეორე ფრონტიდანაც შეუტია. მას თიაქარი აქვს და დიდი შანსია, მოედნის მაგივრად საოპერაციო მაგიდაზე მოხვდეს.*

— დეპრესიამდე ცოტა მაკლია. მეგონა, საზარდული მოვირჩინე და ახლა... ექიმებმა მითხრეს, საზარდულის თიაქარი გაქვსო და შეიძლება საოპერაციო გახდეს. არადა, ვარჯიშში დავიწყე და მეგონა, თვის ბოლოსთვის თამაშსაც შევძლებდი — გვითხრა ცაბაძემ, საფრანგეთში რომ დავუკავშირდით.

**— თუ ოპერაცია დაგჭირდა, მწყობრში როდის ჩადგები?**

— ალბათ, აგვისტოსთვის. ორ კვირაში მეცოდინება, დამჭირდება თუ არა ქირურგიული ჩარევა. ეგებ თიაქარმა თავისით გაიაროს და სკალპელს ავცდე. მაგრად დავითარსე...

**— თუ თიაქარმა თავისით გაიარა, 30 მარტს რუმინელებთან ითამაშებ?**

— არა, ეგ გამორიცხულია. ჯერ ერთი, ფორმაში არ ვიქნები, მეორეც, არ მინდა, ტრავმა გავიმიზეზო.

**— ალბათ, გული გწყდება, ნაკრები უშენოდ რომ თამაშობს. მით უმეტეს, ახლა რუსებთან ჯახია, მერე — რუმინეთთან.**

— ცხადია, გული მწყდება, მაგრამ ტრავმა რომც არ მქონდეს, შეიძლება, ნაკრებში არც მეთამაშა.

**— რატომ?**

— კლოდ სორელი ახლა ექსპერიმენტებს ატარებს და ახალგაზრდებს ცდის. მისთვის ამ ეტაპზე ეს არის მთავარი. გამორიცხული არაა, არც გამოვეძახე.

**— ეს ექსპერიმენტული ნაკრები შეძლებს რუსეთის დამარცხებას?**

— რა თქმა უნდა, სულით და გულით ბიჭებთან ვარ და ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება, საქართველომ რომ რუსეთს მოუგოს, მაგრამ ცოტა ეჭვი მღრღნის.

სორელი ამ მატჩს სხვა თვალით უყურებს, რუსები — სულ სხვა. მათ ერთი სული აქვთ, როდის მოგვიგებენ, თანაც ახლა შინ გვეთამაშებიან და, დარწმუნებული ვარ, კბილებს ილესავენ. ჩვენ კი აზრით უკვე მსოფლიოს თასზე ვართ და ცოტა მოვეშვით. მე ვნახე რუსთა ლიდერების — სერგეი სერგეევის, სლავა გრაჩოვისა და კონსტანტინ რაჩკოვის თამაში. სამივე „მონტობანშია" და ეს გუნდი მათით სულდგმულობს. სერგეევი ისეთ ფორმაშია, გზად ყველას და ყველაფერს ლეწავს. ტანკივით არის. არადა, 37 წლისაა. ძალიან კარგი მორაგბეა. ქომაგი საგანგებოდ სერგეევის თამაშის სანახავად დადის სტადიონზე.

**— ესე იგი, რუსებს მეტი შანსი აქვთ?**

— მატჩს მოიგებს ის, ვინც ასი პროცენტით განეწყობა საბრძოლველად.

**— კარგი, მოდი, ახლა შენს კლუბზე ვთქვათ. სასწაული მოხდა, „მონფერანი" ვერ გავიდა პლეი ოფში და ახლა ელიტარულ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის...**

— ყველაზე მეტად ამან გამაგიჟა. წარმოიდგინე, „მონფერანში" თამაშობენ ჟერალ მერსერონი, ოლივიე მანე, ოლივიე ბრუზე, ტონი მარში, ფაქტობრივად, ნახევარი საფრანგეთის ნაკრები და გუნდი ვერ გადის პლეი ოფში. არადა, „გრენობლთან" ფრეც გვყოფნიდა, მაგრამ ბოლო წამებზე ჯარიმა გაგვიტანეს. ვერ წარმოიდგენ, რა ხდებოდა სტადიონზე. გულშემატკივრები გასახდელთან ელოდებოდნენ მორაგბეებს და აგინებდნენ. ზოგმა ქვებიც კი დაუშინა მონფერანელებს. მერსერონს სულაც პედერასტი უძახეს. ასეთ რეაქციას ველოდით კიდეც. აქ მონფერანში ხალხი რაგბით ცხოვრობს, არაფერს იშურებს, სტადიონზე მიდის და შენ, მორაგბე, რომელიც იღებ დიდ ხელფასს, დადიხარ ბოლო მოდელის მანქანით, უგულოდ, უჯიგროდ აგებ თამაშს. ქალაქში გასვლა არ მინდა, რადგან ჩემს და საერთოდ მონფერანელთა მანქანებს კლუბის ემბლემა ახატია. ჰოდა, გვცნობენ, შუა თითს გვიჩვენებენ და ათას შეურაცხყოფას გვაყენებენ.

**— რა არის „მონფერანის" ასეთი უსუსური თამაშის მიზეზი?**

— კლუბში ძალიან დაძაბული სიტუაციაა. გუნდის რამდენიმე ლიდერი უფროსობას აუჯანყდა და ცდილობს, ჯოხი მათ გადაატეხოს. არადა, ბოლო წარუმატებლობები სწორედ მორაგბეების ბრალია. ბრუზემ, რომელიც ნაკრებში ბდღვნის, „გრენობლთან" პირველი შებოჭვა მეორე ტაიმის შუაში გააკეთა. იქით მერსერონმა ააცილა იოლი საჯარიმოები და საერთოდ, ერთი ხეირიანი პასიც ვერ გააკეთა. გული ამერია, მაგათ თამაშს რომ ვუყურებდი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ძალით წააგეს.

**— კლუბს უფროსობას მხრიდან ალბათ შესაბამისი სანქციებიც იქნებოდა.**

— ასეც არის, ოღონდ ჯერ შერბილებულ ფორმებში. მკაცრად სეზონის ბოლოს დასჯიან რამდენიმე მორაგბეს. უფროსობა მე და დათო აშვეთიას არაფერს გვერჩის, რადგან ჩვენ ტრავმების გამო ორი თვე არ გვითამაშია. პირიქით, ჩვენი ძალიან ეიმედებათ. ისე, ძალიან მეცოდება მერსერონი. ინგლისის ნაკრებთან წაგებული მატჩის შემდეგ პრესამ მიწასთან გაასწორა. არადა, მერსერონზე ცუდად ფაბიენ გალტიემ ითამაშა, მაგრამ მას ვერ აკადრეს, ბოლოს და ბოლოს მსოფლიოს საუკეთესო მორაგბე და ნაკრების კაპიტანია. ჰოდა, ყველაფერი მერსერონს გადააბრალეს და ისიც ძალიან აჭრილია.

**— საფრანგეთში სულ უფრო და უფრო ბევრს ლაპარაკობენ, რომ გალტიეს ღირსეული შემცვლელი გამოუჩნდა დიმიტრი იაშვილის სახით.**

— დიმიტრის ძალიან აქებენ. ზოგიერთი მას გალტიეზე უკეთეს მორაგბედ თვლის და ითხოვს, რომ ლაპორტმა ძირითად შემადგენლობაში ათამაშოს. შოტლანდიასთან დიმიტრიმ სულ რაღაც სამი წუთი ითამაშა, მაგრამ ქომაგი და სპეციალისტები აღაფრთოვანა. რუჟერის არაფრისგან ლელო გაატანინა — მოედნის ერთი კიდიდან მეორეში ბურთი ფეხით სასწაულებრივ ჩაკიდა. „ეკიპმა" დაწერა, რომ საფრანგეთის ნაკრების ისტორიაში ასეთი პასი არავის გაუკეთებია. „ეკიპისავე" აზრით, ლაპორტი დიმიტრის იმიტომ არ ათამაშებს ძირითად შემადგენლობაში, რომ ის ჯერ 22 წლისაა და გვარად იაშვილია. ის რომ იაშვილე ან იაშვილუ იყოსო, გალტიე უკვე სათადარიგო სკამზე იჯდებაო. მე ვნახე დიმიტრის თამაში და ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ამ ბიჭმა თუ ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მოიკიდა ფეხი, მსოფლიოს უპირველესი ვარსკვლავი გახდება.

**ᲑᲐᲩᲝ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ**



## რეგულარული ჩემპიონატი

*ერთი შეხედვით, ბანალური ამბავია, ოტავამ ბუფალოდან ვაცლავ ვარადა შეიძინა. მერე აღმოჩნდა, რომ გაკოტრების პირას მდგარი გუნდი ჩეხს ხელფასს ვერ გადაუხდის, საიმისო ფული უბრალოდ არ მოეძევება. ჰოდა, ამ ჩვეულებრივ ამბავში უჩვეულო რამ მოხდა...*

# 200 ათასი ჩემი!



დანიელ ალფრედსონმა



ვაცლავ ვარადა

„სენატორთა" მოთამაშეებმა იფიქრეს, იფიქრეს და გამოსავალიც იპოვეს, თავიანთი ხელფასების ნაწილი გაიღეს, რათა გუნდისთვის ესოდენ საჭირო მოთამაშე შეენარჩუნებინათ. პარტნიორებს მაგალითი კაპიტანმა დანიელ ალფრედსონმა მისცა ის „ვარადას ფონდში" 200 000 დოლარს ჩამოვიდა, სხვებმაც ჯამაგირის შესაბამისად შეითხელეს ჯიბეები. ბოლოს იმდენი ფული მოგროვდა, ვაცლავსაც ეყოფა და ერთ დაახლოებით მისი დონის მოთამაშესაც თავისუფლად გასწვდება. ჰოდა, ეძებენ კიდეც ახლა ასეთ ჰოკეისტს.

ცხადია, ოტაველთა ბოსებმა მოთამაშეების ეს კეთილშობილური ნაბიჯი შესაბამისად შეაფასეს და დაჰპირდნენ, რომ მომავალ სეზონში ამ დანაკლისს აუნაზღაურებენ.

# ანა კურნიკოვა არაფერ შუაშია

# მაშ, ვის შეაჭამა ფიოდოროვმა მილიონები?

5 მარტი

**ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ 1:3 ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ** *0:0 1:1 0:2*

**1:0 კალენი (30), 1:1 ბლეიკი (32), 1:2 ფორსბერგი (44), 1:3 ტანგეი (47)**

შველმა თავისი საქმე გააკეთა და წავიდა...

თამაშის დასრულებას 12 წუთიღა აკლდა, როცა პეტერ ფორსბერგს მეტოქის მიერ დარტყმულმა შაიბამ ფეხი დაუზიანა. იგი იძულებული შეიქნა, ყინული დაეტოვებინა, თუმც ამ დროისთვის თამაშის ბედი გადაწყვეტილი იყო და ამაში ლომის წილი სწორედ შველმა დაიდო. მან გაიტანა გამარჯვების შაიბა და საერთოდ, სტუმართა სამივე გოლი მაშინ გავიდა, როცა ფორსბერგის სამეული იმყოფებოდა ყინულზე.

„ყველამ იცის, რა დონის მოთამაშეა. მას შეუძლია, მარტომ შეატრიალოს თამაშის ბედი, მაგრამ მისი შეჩერება ბევრს არ ძალუძს" — მატჩის შემდეგ პეტერ ფორსბერგი ფლორიდის ლიდერმა ოლი იოკინენმა ალალად შეაქო.

**ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ 5:4 ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ** *0:1 2:1 2:2 1:0*

**0:1 სტივენსი (20), 0:2 რაფალსკი (39), 1:2 ჟელინა (39), 2:2 ნიდერმაიერი (39), 3:2 დრური (48), 3:3 ელიაში (49), 3:4 ლანგენბრუნერი (56), 4:4 საპრიკინი (59), 5:4 ჟელინა (62)**

**ᲐᲜᲐᲰᲐᲘᲛᲘ 3:1 ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ** *1:1 0:0 2:0*

**1:0 სიკორა (19), 1:1 კოივუ (19), 2:1 ლეკლერკი (49), 3:1 ჩელბერგი (50)**

**ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 7:4 ᲩᲘᲙᲐᲒᲝ** *1:1 3:1 3:2*

**0:1 საიმონი (71), ოტი (13), 1:2 ბელი (21), 2:2 ლეჰტინენი (22), 3:1 მოდანო (29), 4:2 ლემიე (37), 4:3 ბერეზინი (42), 4:4 ბერეზინი (42), 5:4 ბუშე (46), 6:4 იანგი (54), 7:4 კაპანენი (58)**

„ზოგი მოგება სასიამოვნოა, ზოგიც გამაღიზიანებელი და დღევანდელ გამარჯვებას სწორედ ამ უკანასკნელ კატეგორიას მივაკუთვნებდი. გუნდებს 20-20-ჯერაც არ დაერტყათ და ანგარიში უკვე 5:4 იყო. სასიამოვნო მხოლოდ ის არის, რომ ქულები ჩვენ მოვიპოვეთ" — დალასის თავკაც დეივ ტიპეტს თურმე ხანდახან მოგებაც „აღიზიანებს". ისე, დალასმა მართლაც უჩვეულოდ ბევრის უფლება მისცა მეტოქეს და მხოლოდ მატჩის მიწურულს შეიტანა გარდატეხა თამაშში.

**ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ 3:2 ᲢᲐᲛᲞᲐ** *2:0 0:1 1:1*

**1:0 ლიდსტრიომი (5), 2:0 დანდენო (10), 2:1 ბოილი (21), 3:1 შენაჰანი (58), 3:2 პრონსპალი (59)**

როგორც ჩანს, დეტროიტს ძალიან გაუჭირდება სერგეი ფიოდოროვთან ახალი კონტრაქტის გაფორმება. რუსი ერთობ ჭირვეულობს ბოლოხანს. ამას წინათ ჩიოდა, რომ ნაკლებ სათამაშო დროს აძლევენ და თავის შესაძლებლობებს ამიტომაც ვერ ამჟღავნებსო. როცა ეს პრობლემა მოგვარდა, სერგეიმ ულტიმატუმი წაუყენა გუნდის მესვეურებს. მისი აგენტის თქმით, თუ 12 მილიონ დოლარს არ გადაუხდიან, გაისად გუნდში აღარ დარჩება. შეგახსენებთ, რომ დღეისათვის NHL-ს ყველაზე მაღალხელფასიანი მოთამაშე იარომირ იაგრია. ის ამ სეზონში 11,4 მილიონ დოლარს იღებს ჯამაგირად. ფიოდოროვის ხელფასი კი სულ 2 მილიონი დოლარია. თუმც ვისი ბრალია, ანა კურნიკოვას ქმარყოფილმა ხომ კუთვნილი 50 მილიონიდან 38 მილიონი (!) ერთბაშად, პირველივე სეზონში ჩაიჯიბა.

**ᲡᲐᲛᲕᲔᲚ ᲦᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ**

# ფორმულამ უკანალიდან ხიჭვი ამოიძრო

## დიდი სექსპილოტი ედი ირვინი ექსპილოტია

*ბოლო ორ წელიწადში სამმა ვეტერანმა მე-ფორმულემ დაასრულა სარბოლო კარიერა. შარშანწინ პენსიაში გავიდნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, 33 წლის მიკა ჰაკინენი და 201 ეტაპზე ნარბოლი (მეხუთე მაჩვენებელი ფორმულა 1-ის ისტორიაში) 37 წლის ჟან ალეზი. მიკა თავიდან კი ამბობდა, ერთ წელს დავისვენებ და მერე დავბრუნდებიო, მაგრამ ისე გაუტკბა ცოლშვილთან ნებივრობა, რომ ამ ზესახიფათო ხელობისკენ გახედვაც აღარ უნდა.*

ორ გადამდგარს შარშანდელი სეზონის შემდეგ „იაგუარის" პილოტი ედი ირვინი მიჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ „მწვანე კატებმა" სწორედ ირლანდიელი მრბოლის ქულებით მიაღწიეს 2002 წელს თავიანთ საუკეთესო შედეგს (მეშვიდე ადგილი), საჯინიბოს ბოსმა ნიკი ლაუდამ იგი სამსახურიდან დაითხოვა.

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ 1999 წლის მსოფლიოს ვიცეჩემპიონი უმუშევარი დარჩებოდა, მით უფრო, რომ ედის თავის გუნდში უხმობდა სეხნია თანამემამულე ედი ჯორდანი და საქმეც თითქოს გაჩარხული ჩანდა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად „ჯორდანში" ირვინის ნაცვლად სრულიად ახალი მრბოლი გამოჩნდა, ასევე ირლანდიური წარმოშობის რალფ ფირმენი.

ჯორდანის არჩევანი კი ირვინისთვის განაჩენს ნიშნავდა, რადგან სხვა საჯინიბოებში ვაკანსიები შევსებული იყო, ხოლო 37 წლის ასაკში იმის იმედად ყოფნა, რომ გაისად რომელიმე გუნდი მიგიწვევს, რა თქმა უნდა, უაზრობაა. ათწლიანი საფორმულო მოღვაწეობის ამგვარი დასასრული მწარე კი იყო, მაგრამ არაერთ ჭირვარამში გამობრძმედილ მძოლს ძალიანაც არ უდარდია და წყნარად, ღირსეულად შეხვდა ამ დარტყმას: „რას იზამ, ეტყობა, ყველაფერი ასე უნდა დასრულებულიყო. მე თანახმა ვიყავი, გასამრჯელოს გარეშეც მერბოლა, მაგრამ ჯორდანი ამაზე არ წავიდა. საყვარელი საქმის მიტოვება, ცხადია, ძნელია, მაგრამ ამან ერთგვარი შვებაც მომგვარა, ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს მხრებიდან უმძიმესი ტვირთი მომხსნოდეს. ახლა მაინც მივხედავ საკუთარ თავს. ფორმულა 1-ის პილოტობისას იძულებული ვიყავი არაერთ გასართობზე მეთქვა უარი ტრავმის შიშით. ახლა დანაკარგს ავინაზღაურებ — სნოუბორდითაც ვისრიალებ და მოტოციკლით ჯირითითაც ვიჯერებ გულს."

ირვინი საფორმულო ბოლიდის საჭეს მოწიფულ ასაკში, 27 წლისა მიუჯდა. ამ ხნისებმა, ემერსონ ფიტიპალდიმ და მიხაელ შუმახერმა უკვე ორჯერ გაჩემპიონობა მოასწრეს. ედიმ ათწლიან კარიერაში სამი გუნდი გამოიცვალა, ყველაზე დიდ წარმატებას კი „ფერარიში" მიაღწია, როცა 1999 წელს ვიცეჩემპიონი გახდა.

კარგი მძღოლობის გარდა ირვინს გამორჩეული მექალთანის სახელიც აქვს გავარდნილი — მისმა სასიყვარულო თავგადასავლებმა არაერთ ლამაზმანს გაუტეხა გული. ერთ-ერთი რომანის შემდეგ ქალიშვილიც შეეძინა — ზოია, რომელიც უკვე შვიდი წლისაა. დედამისი ღლესაც უყვარს, თუმც ერთად არ არიან: „ჩემი ზოიას დედა — მარია, შესანიშნავი ქალია. უკეთესის შეხვედრა ძალიან, ძალიან ძნელია, რადგან იგი ლამაზიცაა, ჭკვიანიც, მუდამ ესმის ჩემი და თანაც ის ხომ ჩემი ქალიშვილის დედაა. მე არცთუ იშვიათად ვხვდები მათ. ზოიას ძალიან ვუყვარვარ, მე კი მისით ძალიან ვამაყობ და მსურს მთელი მსოფლიო იყოს ჩემი გოგონათი აღტაცებული.

რაც შეეხება ცოლის მოყვანას, ამაზე არც ვფიქრობ, რადგან ერთ ქალთან დიდხანს ყოფნა არ შემიძლია. ერთხელ თითქმის მთელი წელი მყავდა ერთი საყვარელი და ეს საჯდომში ხიჭვის მსგავსი შეგრძნება იყო."

ედის დონჟუანობა ყველას მშვენივრად მოეხსენება. ყურადსაღებია მიხაელ შუმახერის რეაქცია: „იმედი მაქვს, იგი ახლოს არ გაეკარება ჩემს ქალიშვილს, როცა ის წამოიზრდება და პაემანზე დაიწყებს სიარულს."

ბოლოს იმაზეც ვთქვათ, რომ ირვინი ყველაზე მაღალხელფასიანი ბრიტანელი მრბოლია. მისი წლიური გასამრჯელო იყო 12 მილიონი დოლარი, იმდენივე, რაც ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავ დევიდ ბექჰემისა. საფორმულო მოღვაწეობით ედიმ იმაზე გაცილებით მეტი იშოვნა, რაც უზრუნველი სიბერისთვის საჭიროა — „მე ყველაფერი მაქვს, წყალქვეშა ნავის ან კოსმოსური ხომალდის გარდა. ისინი კი არ მაქვს იმ მიზეზით, რომ უბრალოდ არ მჭირდება. რაც შეეხება ბიზნესს, ფულს ძირითადად უძრავი ქონების (სახლები მაიამიში, ირლანდიაში) ყიდვა-გაყიდვით ვაკეთებ, უაზროდ ფულის გადაყრა კი არ მიყვარს. მაგალითად, მეგობრებს უფლებას ვაძლევ ისარგებლონ ჩემი თვითმფრინავით, იახტით, სახლით, ქეიფისას ყველასთვის ვყიდულობ ლუდს, მაგრამ საშობაოდ, ვთქვათ „ფერარის" არავის ვჩუქნი."



ედი ირვინი

დიდი ბრიტანეთი
დაიბადა 1965 წლის 10 ნოემბერს ნიუთაუნარდში (ჩრდილოეთ ირლანდია)
ცხოვრობს მილანში
სიმაღლე 178სმ; წონა 70 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: იაპონიის დიდი პრიზი (1993)
პირველი გამარჯვება: ავსტრალიის დიდი პრიზი (1999)
147 რბოლა (21-ე მაჩვენებელი ფორმულა 1-ის ისტორიაში); 4 მოგება (41); 26 პოდიუმი (26); 191 ქულა (29)
1999 წლის მსოფლიოს ვიცეჩემპიონი
ასპარეზობდა „ჯორდანში" (1993-95), „ფერარიში" (1996-99), „იაგუარში" (2000-02)

## მაკლარენი

გუნდი დაარსდა 1963 წელს
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1966 წლიდან
543 რბოლა; 135 მოგება; 112 პოული;
109 უსწრაფესი წრე; 2746,5 ქულა
ჩემპიონის ტიტული 11
კონსტრუქტორთა თასი — 8
2002 წელს — მესამე ადგილი (65 ქულა)
**გენერალური დირექტორი:** რონ დენისი
**მმართველი დირექტორი:** მარტინ უიტმარში
**ტექნიკური დირექტორი:** ედრიან ნიუი
**ბოლიდი:** „მაკლარენ MP4-17D"
**ძრავა:** „მერსედეს FO111M"
**საბურავები:** „მიშლენი"
**ტესტპილოტი:** ალექსანდრ ვურცი (ავსტრია)



**დევიდ კულჰარდი**

**დიდი ბრიტანეთი**
დაიბადა 1971 წლის 27 მარტს
ტვინჰოლმში (შოტლანდია)
ცხოვრობს მონტე კარლოში
უცოლო
სიმაღლე 182 სმ; წონა 73 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ესპანეთის დიდი პრიზი (1994)
პირველი მოგება: პორტუგალია(95)
141 რბოლა; 12 მოგება; 12 პოული;
18 უსწრაფესი წრე; 400 ქულა
მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი (2001)
2002 წელს მეხუთე ადგილი (41 ქულა)
ასპარეზობდა „უილიამსში" (1994-95)
„მაკლარენშია" 1996 წლიდან



**კიმი რაიკონენი**

**ფინეთი**
დაიბადა 1979 წლის 17 ოქტომბერს
ესპუუში
ცხოვრობს შვეიცარიაში
სიმაღლე 175 სმ; წონა 63 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ავსტრალიის დიდი პრიზი (2001)
34 რბოლა; 4 პოდიუმი;
1 უსწრაფესი წრე; 33 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი
მეექვსე ადგილი (2002)
ასპარეზობდა „ზაუბერში" (2001)
„მაკლარენშია" 2002 წლიდან

# პრეტენზიები ახლა, პრეზენტაცია მერე

FORMULA 1

**რონ დენისის** გუნდი ერთადერთია, რომელსაც წლევანდელი სეზონის წინ ახალი ბოლიდის პრეზენტაცია არ მოუწყვია. მიზეზი ის გახლავთ, რომ „მაკლარენ MP4-18" მხოლოდ შუა აპრილში იქნება მზად, რის გამოც დევიდ კულჰარდი და კიმი რაიკონენი საწყის სამ-ოთხ ეტაპზე შარშანდელი, ოღონდ გაუმჯობესებული მოდელით იჯირითებენ.

„ვერცხლისფერი ისრების" გარდამავალმა ვარიანტმა საერთაშორისო სამთვიურში მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა — შარშანდელ ძირითადზე უფრო სწრაფიც იყო და საიმედოც. „მაკები" გასულ წელს თავისთვის უხეირო მესამე გუნდურ პოზიციაზე კი დარჩნენ „ფერარის" და „უილიამსის" უკან, მაგრამ ხსენებული ზამთრის ტესტების შემდეგ მსოფლიოს ხუთგზის ტრიუმფატორმა მიხაელ შუმახერმა კარსმომდგარ ჩემპიონატში თავის უმთავრეს მეტოქედ სწორედ კულჰარდი დაასახელა და არა საკუთარი ძმა, რალფი, ან მისი უილიამსელი მეწყვილე ხუან პაბლო მონტოია: „იმედი მაქვს, რომ „ფერარისთვის" წლევანდელი სეზონიც წარმატებული იქნება, თუმც „მაკლარენის" წინააღმდეგობის დასაძლევად დიდი ბრძოლის გადატანა მოგვიხდება. კულჰარდი ტესტებზე შთამბეჭდავად გამოიყურებოდა და უმთავრეს კონკურენციასაც სწორედ მისგან ველი."

თავად „დი-სი" (დევიდ კულჰარდის ინიციალები) „ფერარისთან" ტოლ-სწორად გაჯიბრებაზე არც ფიქრობს: „ცხადია, წლეულსაც უპირატესობა „სკუდერიის" მხარეს იქნება, ხოლო ჩვენი მთავარი ამოცანაა, ვაჯობოთ „უილიამსს" და კონსტრუქტორთა თასზე მეორე ადგილი დავიბრუნოთ."

საინტერესოა, რომ საბუქმეიკერო ბირჟებზე ზეგინდელ, გახსნის რბოლაში კულჰარდის და მონტოიას შანსი თანაბრად ფასდება, რალფისა — გაცილებით ნაკლებად.

ბრიტანული საჯინიბოს მეორე პილოტი ისევ ფინელი კიმი რაიკონენია, რომელმაც შარშანწინ პენსიაში გასული ორგზის ჩემპიონი თანამემამულე მიკა ჰაკინენი შეცვალა. ამბიციურმა კიმიმ გასულ სეზონში მშვენივრად ირბოლა, ოთხჯერ პოდიუმზეც შედგა და საბოლოოდ თანაგუნდელის შემდეგ, პრესტიჟულ მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა. წლეულს კი უფრო მეტსაც უმიზნებს. მთავარია, ახალი მანქანა სწრაფი იყოს და არ მიმტყუნოსო.

23 წლის სუომელს, რომ იტყვიან, ჯერ ყველაფერი წინ აქვს, მასზე ცხრა წლით უფროს „კულის" კი უკვე ყოველი სეზონი კარიერის თინიშთან აახლოებს და სულაც არაა გამორიცხული, შოტლანდიელმა „სამეფო რბოლებში" მოღვაწეობა უტიტულოდ დაასრულოს.

ბოლოს იმაზეც, რომ ზუსტად ორმოცი წლის წინ ახალზელანდიელი პილოტის ბრიუს მაკლარენის მიერ დაარსებული გუნდი ბოლო წლების ხელმოცარვის მიუხედავად, საფორმულო ისტორიაში მაინც რჩება რეკორდსმენ „ფერარიზე" შედეგიან საჯინიბოდ: „მაკებს" 11 საჩემპიონო ტიტულის მოსახვეჭად 36 სეზონი დასჭირდათ, „სკუდერიას" კი ერთით მეტისთვის — 53.

**გია ახალაძე**




„მაკლარენი" ახალ სეზონს შარშანდელი ბოლიდით დაიწყებს



REUTERS მურსიიდან

## არმსტრონგი მსპანეთში

ხუთდღიან მურსიის ველოტურში ჩაბმულა ტურ დე ფრანსის ზედიზედ ოთხჯერ მომგები ამერიკელი ველოვარსკვლავი ლენს არმსტრონგი, რომელსაც მიზნად აქვს, ხუთჯერ ზედიზედ მოიგოს ფრანგული შეჯიბრი. ამ ესპანურ მოკლე შეჯიბრს კი არმსტრონგი, როგორც სამზადისს, ისე უცქერს.




REUTERS გერმანიიდან

## მარკები

გერმანია 2006 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ემზადება და ორგკომიტეტის თავი, ფრანც ბეკენბაუერიც ამ მოვლენისადმი მიძღვნილი მარკების ნიმუშებს წარმოგვიდგენს. მარკა სულ ხუთია და სიმბოლურად გვიჩვენებს ფეხბურთის ყოვლისმომცველობას.



## დეიდას გახარებია

ამ ბიჭს, აბა, რა თამაში დაამახსოვრდება! ამ ბიჭს რაც დაამახსოვრდება, იოლი მისახვედრია. რბილად რომ ვთქვათ, მას დაამახსოვრდება, რომ დეიდას ძალიან გაეხარდა რაღაც და დეიდამ იცის, რომ სხვებსაც გაეხარდებათ.




REUTERS კოპენჰაგენიდან

## დოპინგის წინააღმდეგ

დიდი ანტისადოპინგო კონფერენცია კოპენჰაგენში. სადოპინგო ტესტების კიდევ უფრო გამკაცრებას მხარს უჭერენ ფედერაციები და მთავრობები. კონფერენციაზე კი სიტყვით გამოდის სპორტის ლეგენდა, ჭოკით მხტომელი სერგეი ბუბკა.

## საკრიკეტო სულის განაზვა

შაბათს ინდოეთსა და პაკისტანში არაფერი ხდებოდა. უფრო სწორად, ორი ეს ამოტოლა ქვეყანა ტელეეკრანებთან მიმჯდარიყო სულგანაბული და მღელვარე, რადგან კრიკეტის მსოფლიო თასზე ერთმანეთს სწორედ ინდონი და პაკნი ეცილებოდნენ.



REUTERS ისლამაბადიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge